



გამოცემის
103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გაქართვის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიხედვით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 755 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია თოვლქუაპი, მთაში - თოვა, მომდევნო 3 დღეს - უნალექო ამინდი.

№1 (25.129)

12 იანვარი, 2024 წ.

50 თეთრი

2024 წელს ბათუმში მოეწყობა და რეაბილიტირდება 20 ახალი რეკრეაციული სივრცე, ინფრამრუკების ბათუმის მერია აცხადებს

2024 წელს ბათუმში მოეწყობა და რეაბილიტირდება 20 ახალი რეკრეაციული სივრცე, ინფრამრუკების ბათუმის მერია აცხადებს

მოეწყობა და რეაბილიტირდება: სარეკრეაციო სივრცე და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურა ჩაქვში; სამების 1-ელი ჩიხის №3; გალაკტიონ ტაბიძის ქ. №1; გალაკტიონ ტაბიძის ქ.№15/17; პეტრე ბაგრატიონის ქუჩის გზაგამყოფი სივრცე; ხახულის მე-2 შესახვევის №67; მამია გოგოლიშვილის ქ. №45; ა. აბაშიძის ქ. №2; მელიქიშვილის მე-3 შესახვევის №21; მწვანე კონცხის დასახლება; ივანე ჯავახიშვილის ქ. №4ა; ფრიდონ ხალვაშის გამზირის №14ა; ფრიდონ ხალვაშის გამზირის №374; ტბელ აბუსერიძის ქ. №18; ტბელ აბუსერიძის ქ. №21ა; გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №49; იოსებ გრიშაშვილის ქ. №17; აღმაშენებლის ქ. №28; ძმები ნობელის ქ. №18; ძმები ნობელის ქ. №41.

მოეწყობა და რეაბილიტირდება 20 ახალი რეკრეაციული სივრცე



#ბათუმი

საპატრიარქო: მივმართავთ შემომხრაველთ, თვითონ შეიტანონ სათანადო ცვლილებები წმინდა მატრონას ხატში, ან ამას ჩვენ გავაკეთებთ

წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დასვენებულ წმინდა მატრონას ხატზე გამოსახული ერთ-ერთი ეპიზოდის გამო, ბოლო დღეებში ურთიერთგამომრიცხავი საუბრები და დაპირისპირებები არ ცხრება, რასაც ერთგვარი პოლიტიკური სახეც მიეცა. ამასთან, ხატი ყოვლად გაუმართლებელი შეურაცხმყოფელი ქმედების ობიექტი გახდა და დაძაბულობამაც კიდევ უფრო იმატა, - ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„გვრცელდება სხვა არასწორი შეხედულებებიც, რის გამოც განვმარტავთ შემდეგს: საერთოდ, ხატზე, ხატწერის კანონიკური წესებიდან გამომდინარე, შეიძლება დახატული იყოს არა მხოლოდ წმინდანი, არამედ წმინდანის ცხოვრებასთან დაკავშირებული რეალური ისტორიები ნებისმიერი პიროვნების გამოსახულებით, მათ შორის, ხელისუფალნიც და ჩვეულებრივი ადამიანებიც, მწვალელებიც და ქრისტიანული სარწმუნოების მდევნელებიც, თვით წმინდანის მწამებელნიც კი; თუმცა ეს საერთოდ არ ნიშნავს, რომ ხატი ამ პირებს განადიდებს ან რაიმე ღირსებას განუკუთვებს, არამედ ასეთი დეტალები წარმოადგენს წმინდანთან დაკავშირებული უტყუარი ფაქტების ასახვას.

გინაიდან ი. სტალინის შეხვედრა წმ. მატრონასთან, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, არ არის შეტანილი მისი ცხოვრების კანონიკურ ტექსტში, არ არის აღიარებული რუსეთის ეკლესიის მიერ, რომელმაც იგი წმინდანად შერაცხა და ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კვლევაც ჩაატარა, აუცილებელია აღნიშნული ეპიზოდის შეცვლა და ხატწერის



კანონიკასთან დაკავშირებული სხვა დეტალების გათვალისწინებით, მივმართავთ შემომხრაველთ, თვითონ შეიტანონ სათანადო ცვლილებები ხატში, ან ამას ჩვენ გავაკეთებთ. - წმინდა საპატრიარქოს განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებით ნამდვილად მოიტანს ცვლილებას

«სასიხარულოა, როცა ადამიანები ერთმანეთს გადნიკრებას სარეჟისოს სხვით უზიარებენ»

2

5

ISSN 2720-8702



9 772720 870003

გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით

თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ღარაბედი «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებით ნამდვილად მოიტანს ცვლილებას

თამარ ლამარაძე 595 85 80 06

„დიდი დაბრუნება“ - შეიძლება ასეც ვუწოდოთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მესამედ მოსვლას. ივანიშვილი ისევ გახდა ქართული პოლიტიკის სრულფასოვანი ნაწილი. პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ 2023 წლის 30 დეკემბერს „ქართული ოცნების“ შემაჯამებელ ყრილობაზე განაცხადა და წინასახალწლოდ ელდა მოშგვარა მის არაკეთილმოუსურნებლს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კი გაახარა

მანამდე იყო ივანიშვილის სამწლიანი გამომწვევლობა პოლიტიკასთან: „მივიღე გადაწყვეტილება, საბოლოოდ დავტოვო პოლიტიკა და სრულად ჩამოვიცილე მართვის სადავეებს. მე ვტოვებ როგორც პარტიის თავმჯდომარის პოსტს, ისე საკუთრივ პარტიასაც და ჩემს 2011-წლამდელ კერძო ცხოვრების წესს ვუბრუნდები. პოლიტიკიდან მივდივარ ამჟამად, გამარჯვებული და ხალხის მადლიერი“. როგორც ჩანს, დღეს ივანიშვილს ახალი გამოწვევები გაუჩნდა და როგორ ამჟამადც წავიდა, ისე ამჟამად დაუბრუნდა პოლიტიკურ ბრძოლას.

კონკრეტულად რა არის მისი დაბრუნების მიზეზი? ამას ბიძინა ივანიშვილი ასე განმარტავს - ქართული ოპოზიცია საგრძნობლად შესუსტდა, რამაც მმართველ პარტიაში შესაძლოა გამოიწვიოს შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები, სწორედ რისი თავიდან ასაცილებლადაც ის ისევ პარტიის რიგებში ეწევა, ამასთან, თავისი დაბრუნებით „ქართული ოცნების“ ლიდერების კორუფციისგან დაზღვევასაც ეცდება.

„ოპოზიციის განადგურების პირობებში იზრდება რისკები მმართველ გუნდში. ოპოზიციის არარსებობამ მმართველ პარტიას მართლაც შეიძლება თავბრუ დაახვიოს და მოაღუნოს. გარდა ამისა, როდესაც გარეთ დასაპირისპირებელი არავინ რჩება, ჩნდება ცდუნება, რომ დაპირისპირება გუნდის შიგნით გამოივლინოს. ასევე, ოპოზიციის კონტროლის არარსებობის პირობებში, კორუფციის რისკებიც მატულობს, რასაც საგანგებო დაზღვევა ესაჭიროება. ამ ყველაფერმა მიმაღებინა ჩემთვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება, შემოვბრუნდეს პოლიტიკაში და დავიკავო მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა, რის შესახებაც ჩემ მიერ დაფუძნებული პარტიის ხელმძღვანელ გუნდს ცოტა ხნის წინ თავად მივმართე“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილი.



თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს დაეუფლებოდა, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება აუცილებელიც იყო, რადგან ის გუნდისთვის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს.

პრემიერ-მინისტრმა ლარსაშვილმა განაცხადა, რომ მომდევნო 10 წელი ძალიან რთული იქნება არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მსოფლიოსთვის და ამ დროს ივანიშვილის პოლიტიკაში ყოფნა მხოლოდ დადებითი მომსახურებელია.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება „უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა“, რადგან 2024 წელი არჩევნების წელია და მმართველმა გუნდმა ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად მომავალ ამ დროს უნდა იზიაროს გამარჯვება, რაშიც ივანიშვილი დიდ წვლილს შეიტანს.

„ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, მორიგეობა, დამატებითი გამარჯვებას დაეძღვება გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებში“, - ეს კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის სიტყვებია, რომლებიც შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, რადგან ივანიშვილი „ქართული ოცნებისთვის“ მართლაც უდიდ-

ესი ძალა და მას ბევრი პერსონალური მხარდაჭერი ჰყავს.

ოპოზიციის აზრით, ივანიშვილის დაბრუნებამ კიდევ უფრო გაამყარა ექვსი იმის შესახებ, რომ იგი პოლიტიკიდან არ წასულა. ახლა, ისე როგორც არასდროს, ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის ერთად მოქმედებდნენ.

„ოპოზიციის არარსებობამ მმართველ პარტიას მართლაც შეიძლება თავბრუ დაახვიოს და მოაღუნოს. გარდა ამისა, როდესაც გარეთ დასაპირისპირებელი არავინ რჩება, ჩნდება ცდუნება, რომ დაპირისპირება გუნდის შიგნით გამოივლინოს. ასევე, ოპოზიციის კონტროლის არარსებობის პირობებში, კორუფციის რისკებიც მატულობს

„კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა ის, რაც აქამდე არაერთხელ მოთქვამს და დღეს საბოლოოდ დადასტურდა, რომ რუსი ოლიგარქი არასდროს წასულა ქართული პოლიტიკიდან“, - აღნიშნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სოფო ჯაფარიძემ.

ოპოზიციის ეს ბრალდება მთლად უსაფუძვლოც არაა, რადგან ლარსაშვილმა თავად თქვა, რომ ხშირად გადაიღო კონსულტაციები სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილთან, ანუ ფაქტია, რომ იგი, გარკვეულწილად, ჩართული იყო მმართველი გუნდის გადაწყვეტილებებშიც, თუნდაც რეგიონის სახით. ოპოზიციის აზრით, ივანიშვილის დაბრუნება სანქციების თავიდან არიდებაცაა, თუმცა თავად ივანიშვილი ამბობს, რომ უკვე დასაწყობებულია, ამგვარად, ოპოზიცია ამ შემთხვევაში გვატყუებს.

ყოფილი თანაპარტიელებიდან პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარამ მის დაბრუნებას სამალავიდან გამოსვლა უწოდო, ხოლო ეკა ბესელიას თქმით, ივანიშვილი მიხვდა, რომ ძალაუფლებას კარგავდა და დაბრუნება ამიტომ გადაწყვიტა.

მისი დაბრუნება „უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა“ თუ „სამალავიდან გამოსვლა“, ამას ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ქმედებით გვაჩვენებს, მანამდე კი საინტერესოა, ხალხის განწყობა როგორია ამ თვალსაზრისით.

საზოგადოება როგორც ადრე, ახლაც ორ პოლიტიკურ პოლუსად არის გაყოფილი. ზოგი ფიქრობს, რომ ივანიშვილს არ მოსწონდა

მმართველი პარტიის ქმედებები, რომ ისინი აღარ უჩერებდნენ, მმართველი პარტია მხოლოდ თანამდებობების განაწილებით იყო დაკავებული, რამაც ოლიგარქის უკმაყოფილება გამოიწვია და ამიტომაც მიიღო პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რომ იქნება, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ვეღარ გაბედავენ პირად ინტერესებზე მორგებულ

ლი ნაბიჯების გადადგმას, რადგან ივანიშვილი ჭკვიანი პოლიტიკოსია; ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ივანიშვილს შეეშინდა 2024 წლის არჩევნების მოსალოდნელი შედეგების და ამიტომ დაბრუნდა.

ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ლიდერია და მისი როლი ქართულ პოლიტიკაში, უდავოდ, დიდია. სულ სხვაა „ქართული ოცნება“ ივანიშვილთან ერთად და სხვაა ივანიშვილის გარეშე. მას, მართლაც, ძალიან დიდი გავლენა აქვს და საზოგადოების უმრავლესობა ნდობას უცხადებს. მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ახალი იმედს იძლევა, იმედს იმისა, რომ ქვეყანა წინ წაიწევის. ეს იმედი არასდროს მოეშალა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პარტია იქნება ქვეყნის სათავეში, მთავარია, მოქალაქეების კეთილდღეობაზე იზრუნოს. დაველოდოთ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებს, მის ნაბიჯებს. ახლა მთავარია კითხვა ის არის, აქვს თუ არა დაგეგმილი საკადრო ცვლილებები მმართველ პარტიაში? ერთი დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ხელახლა მოსვლით ნამდვილად მოიტანს ცვლილებებს, მით უფრო, რომ 2024 წელი ჩვენს ქვეყანაში არჩევნების წელია.

აღნიშნულ თემაზე აჭარაში არსებული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებსაც ვესაუბრებ.

ი. მ. გ.

ქრონიკა

ქრისტესშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ბათუმში ტრადიციული საშობაო მსვლელობა - ალილო მოეწყო. საზეიმო მსვლელობა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო და მას მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შეუერთდა. მთავრობის თავმჯდომარემ ალილოს მსვლელობის მონაწილეობის შობა მიულოცა და საშობაო ნობათები გადასცა. შობის მახარობლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, საზოგადოების წარმომადგენლები შეუერთდნენ.

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა საშობაო ლიტურგია სხალთის ეპარქიის მოქმედ ტაძრებსა და სამლოცველოებში. ხიჭაურის დასახლებაში არსებულ ტაძარში საზეიმო ლიტურგია სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა. საზეიმო ლიტურგიას მრევლთან ერთად შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. - ხიჭაურის დასახლებიდან რუსული სამხედრო ნაწილის გასვლის შემდეგ, აქ ვსახლობ, - გვითხრა გია ფევაძემ, - დიდი და სასიკეთო გარდაქმნების მომსწრე და მონაწილე ვარ. ტერიტორიაზე, სადაც სამხედრო აღლუმები ტარდებოდა, ეკლესია აშენდა და რამდენიმე წელია წირვა-ლოცვა ტარდება. ყოფილი სამხედრო კორპუსები უნივერსიტეტს გადაეცა. ყველაფერი კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით გაკეთდა. გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

აჭარის პროექტების მართვის კომპანია წლებია აქტიურად აშენებს სპორტულ მოედნებსა და სხვადასხვა სახეობის სავარჯიშო კომპლექსებს მაღალმთიან და ზღვისპირა მუნიციპალიტეტებში. დაფუძნებიდან დღემდე ექსპლუატაციაში შევიდა 250 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა ტიპის ობიექტი. 2023 წელს ჩაქვენი დასრულდა ძალისხმობის ბაზა, ღორჯომში - საჭიდაო დარბაზი, შუახევი - საფეხბურთო მოედანი. შარშან დაიწყო ჩაქვის სარაგბო სტადიონისა და შუახევის ზიპლიანის „არწივის ბუდის“ მშენებლობა, წელს

დაიწყება ბათუმის საზოგადოებრივი კორტების რეაბილიტაცია. სამივე მომავალი წლის ბოლომდე დასრულდება და რეგიონის ზღვისპირა ნაწილს საერთაშორისო დონის ობიექტები შეემატება. წელს აჭარის პროექტების მართვის კომპანია რამდენიმე სპორტული კომპლექსისა და სარაგბო მოედნების მშენებლობის დაწყებას გეგმავს. გაისიდან დაიწყება ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობა - ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე აშენდება მრავალფუნქციური პოლიკლინიკისა და სასწრაფო დახმარებისთვის განკუთვნილი შენობები. მნიშვნელოვანია ხელვაჩაურის სპორტკომპლექსი და ს/კ „მაჭახელას“ საფეხბურთო სტადიონი, ასევე ქედის სასპორტო კომპლექსი და ს/კ „მერისის“ საფეხბურთო მოედანი, ხულოს სპორტსკოლა და სტადიონი, ფურტიოს და ხუცუბნის სარაგბო მოედნები, რომლებიც პარალელურ რეჟიმში განხორციელდება.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სანიტარული ზედამხედველობის პროგრამას კიდევ 4 პროგრამა და ღონისძიება დაემატა. ესენია: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთა დახმარება გლუკომეტრის ჩხირების შექმნის მიზნით; გულის კტ კორონაროგრაფია; ზოგიერთი ნოზოლოგიის დაფინანსება, რომელსაც არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა; მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა; პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 27 264 600 ლარს.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში უნებართვო ან სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობებზე არსებული სანქციები მკაცრდება. კანონი მიმდინარე წლის 11 იანვრიდან შევა ძალაში. „მოვამზადებთ შესაბამისი კანონპროექტი და საკანონმდებლო ორგანოს წარვუდგინებთ. პარლამენტის მხარდაჭერითა და თანადგომით, ეს კანონი უკვე მიღებულია და ძალაში შევა 11 იანვრიდან. კანონპროექტის თანახმად კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში უნებართვო მშენებლობა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, დაჭარბდება 250 ათასი ლარით (ნაცვლად 25 ათასი ლარისა).

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებით ნამდვილად მოიტანს ცვლილებას

მე-2 გვერდიდან

თედო ტაბიძე, ქობულეთის საკრებულოს წევრი, პარტია „ქართული ოცნება“:
- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ 2023 წელი საკმაოდ საინტერესო და წარმატებული იყო ქართულ პოლიტიკაში, რადგან ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატურა.



|| ბიძინა ივანიშვილი რომ პოლიტიკური თანამდებობისთვის არ მოსულა, ამაში ქართული საზოგადოება რამდენჯერმე დარწმუნდა. ჯერ კიდევ 2013 წელს მან დატოვა პოლიტიკური თანამდებობა. დარწმუნებული ვარ, ბატონ ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნება ჩვენს გუნდს უფრო მეტად გააძლიერებს და ქვეყანას საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს

გრობის კანდიდატის სტატუსი და, რა თქმა უნდა, ეს „ქართული ოცნების“ სწორი პოლიტიკის შედეგია. აქვე უნდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ მმართველი გუნდი ქვეყნის სათავეში ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მოვიდა. ბიძინა ივანიშვილი რომ პოლიტიკური თანამდებობისთვის არ მოსულა, ამაში ქართული საზოგადოება რამდენჯერმე დარწმუნდა. ჯერ კიდევ 2013 წელს მან დატოვა პოლიტიკური თანამდებობა. დარწმუნებული ვარ, ბატონ ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნება ჩვენს გუნდს უფრო მეტად გააძლიერებს და ქვეყანას საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს. ამაში გვულისხმობს საქართველოს სრულფასოვან ინტეგრაციას ევროკავშირში. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება იმ მიმართულებით, რომ ბიძინა ივანიშვილი უფრო მეტად ჩაერთვება პარტიულ ცხოვრებაში როგორც რჩევებისა და რეკომენდაციების სახით, ასევე პარტიულ შეხვედრებში. შესაძლებელია, ვნახოთ ახალი სახეები და ვფიქრობ, ბატონ ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნება უფრო გააძლიერებს პარტიის ახალგაზრდულ ფრთას, უფრო მეტ ახალგაზრდას მიეცემა თავის წარმომჩენის შესაძლებლობა როგორც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების რიგებში, ასევე საკანონმდებლო ორგანოებში.

არჩილ ბერიძე, „ლელოს“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი:

- ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლასა და არჩევნების წინ დაბრუნებას ბოლო პერიოდში მივეჩვიეთ. რეალურად, ეს არა წასვლა და დაბრუნება, არამედ გაუჩინარება და გამოჩენაა. ერთია, რომ მისი ახლა გამოჩენა დაკავშირებულია 2024 წლის არჩევნებთან, რათა „ქართული ოცნება“ განიმტკიცოს ძალაუფლება ყველა იმ მანკიერი მხარის გამოყენებით, რასაც აქამდე აკეთებდა, მეორე მიზეზი კი, ჩემი აზრით, პარტიაში მიმდინარე პროცესია. „ქართული ოცნებაში“, გახარბას წასვლის შემდეგ, გამოჩნდა, რომ პარტიაში, ივანიშვილისგან დამოუკიდებლად, სხვები დიდ გავლენას იხვეჭდნენ, რაც ოლიგარქის ერთპიროვნული ძალაუფლების შემცირებას ნიშნავს, ბიძინას კი არც სადავეების დათმობა სურს და არც ვინმეს ავტორიტეტის ზრდა. ალბათ, მისთვის რთულად მისაღები გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან მოუწევს რიგ საკითხებზე პასუხისმგებლობის აღება, კულისებიდან მართვა კი გაცილებით მარტივი იყო. რაც შეეხება ცვლილებებს, ჩემი აზრით, პირველი საკადრო ცვლილება იქნება - თანამდებობებზე დანიშნავს ისეთ კადრებს, რომლებიც უსიტყვოდ მოიბრუნებენ მო-



რჩილის როლს. ივანიშვილის ეს გამოჩენა ელექტორალურად ვერაფერს შეცვლის, რადგან ყველა იცის „ქართული ოცნების“ რუსეთის ინტერესებთან თანხვედრაზე. ახლა მას მოუწევს საარჩევნოდ დიდ ანტიდასავლური პოზიციების დაფიქსირება (რუსეთის ინტერესების გატარება), რაც მისთვის არ იქნება მარტივი, ვინაიდან მეორე მხარეს დგ-

ას ქართველი ერი, რომელსაც სურს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება და არა რუსულ რეჟიმებზე დაბრუნება.

ბორა მშაღამ, პარტია „საქართველოსთვის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენელი:

- 2023 წლის 30 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ ყრილობაზე, ბიძინა ივანიშვილმა პარტიის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა. აღნიშნულით ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ პარტია



|| ივანიშვილმა საკუთარ გუნდში, როგორც პარტიაში, ისე მთავრობაში, გარკვეული რისკები, საფრთხეები და პრობლემები დაინახა, თუმცა ვთვლი, რომ მთავარ გამოწვევად მოახლოებული პროპორციული არჩევნები, საკუთარი გუნდის ელექტორალური შესაძლებლობები და, შესაბამისად, ერთპიროვნული მმართველობის დაკარგვის საფრთხეა

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი კულისებიდან გამოვიდა და 2021 წლის შემდეგ, სამი წლის თავზე პოლიტიკაში საჯაროდ მესამედ გამოჩნდა. არავისთვის სიახლე, დავის საგანი არ ყოფილა და არც გახდებდა ის ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის, საკუთარი პარტიის მართვას არაფორმალურად ახორციელებდა. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია 30 დეკემბერს პარტიის ყრილობაზე გაუფრთხილები მისივე სიტყვები, რომ მას „პარტიის 2-3 ლიდერთან ჰქონდა კომუნიკაცია“, რაც გუნდში ჯანსაღი ვითარების შენარჩუნებას უწყობდა ხელს. რეალურად, ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ საკმაოდ რთუ-

ლია მისი საჯაროდ გამოჩენის ზუსტ მიზეზებზე საუბარი, თუმცა მისივე განცხადების ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, გარკვეული, ობიექტური დასკვნის გაკეთება ამ ეტაპზე გვა შესაძლებელია. წლების გამოცდილებამ

|| ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლასა და არჩევნების წინ დაბრუნებას ბოლო პერიოდში მივეჩვიეთ. რეალურად, ეს არა წასვლა და დაბრუნება, არამედ გაუჩინარება და გამოჩენაა. ერთია, რომ მისი ახლა გამოჩენა დაკავშირებულია 2024 წლის არჩევნებთან

აჩვენა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის პირადი უსაფრთხოება და კეთილდღეობა ყველაზე მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ბევრისთვის მოულოდნელი და მისთვის არასასურველი საჯარო დაბრუნების უმთავრეს მიზეზად „ქართული ოცნებაში“ არსებული მწვევალი შიდა თუ ელექტორალური კრიზისი უნდა მივიჩნიოთ. ბატონმა ივანიშვილმა საკუთარ გუნდში, როგორც პარტიაში, ისე მთავრობაში, გარკვეული რისკები, საფრთხეები და პრობლემები დაინახა, თუმცა ვთვლი, რომ მთავარ გამოწვევად მოახლოებული პროპორციული არჩევნები, საკუთარი გუნდის ელექტორალური შესაძლებლობები და, შესაბამისად, ერთპიროვნული მმართველობის დაკარგვის საფრთხეა, აღნიშნული საფრთხის რეალურობას კი ის სწორედ გიორგი გახარბასა და მის პოლიტიკურ გუნდში ხედავს. გამოჩენისთანავე სწორედ გახარბა ახსენა ივანიშვილმა უარყოფით კონტექსტში და ცხადია, რომ ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ის, ერთპიროვნული მმართველობის შენარჩუნების კუთხით, საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს სხვა დანარჩენი ოპოზიციური აქტორების ფონზე და ამ მიმართულებით ერთადერთ

|| ივანიშვილს ჰგონია, მაშველი რგოლია, მაგრამ ამაოდ. ყველაზე მეტად მისი მობრუნებით ოპოზიცია იხეირებს, რადგან მისი სიტყვა თავადვე გააუფასურა. უჭირს „ოცნებას“ და ბიძინა გამოიძახა, მაგრამ ერთია - რას „შეუკვეთავ“ და მეორე - რა „ჩამოვა“.

საფრთხეს, როგორც ზევით აღვნიშნე, გახარბაში ხედავს მხოლოდ. ასევე, ის აღარ ენდობა გუნდის ხელმძღვანელობას. შესაბამისად, ის გამოჩნდა, გამოვიდა დღის სინათლეზე და იბრუნებს მის მიერვე დროებით თითქოს გადაცემულ, შესუსტებულ თუ დაკარგვის საფრთხის წინაშე მყოფ პარტიულ და პოლიტიკურ ბერკეტებს. აღნიშნულის მტკიცებულებად შეიძლება გამოვიყენოთ „ქართული ოცნება“ - დემოკრატიული საქართველოს“ წესდებაში პარტიის საპატიო თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პოლიტიკურ საბჭოს არა პარტიის თავმჯდომარე, არამედ საპატიო თავმჯდომარე წარუდგენს დასამტკიცებლად. ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად შეეცდებოდა, რომ 2024 წლის არჩევნების წინ ხელისუფლების ყველა დონეზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) გაზარდოს თავისი გავლენები, მინიმუმამდე

უშველის „წარსულის გაახლება“. ივანიშვილს ჰგონია, მაშველი რგოლია, მაგრამ ამაოდ. ყველაზე მეტად მისი მობრუნებით ოპოზიცია იხეირებს, რადგან მისი სიტყვა თავადვე გააუფასურა. უჭირს „ოცნებას“ და ბიძინა

|| ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლასა და არჩევნების წინ დაბრუნებას ბოლო პერიოდში მივეჩვიეთ. რეალურად, ეს არა წასვლა და დაბრუნება, არამედ გაუჩინარება და გამოჩენაა. ერთია, რომ მისი ახლა გამოჩენა დაკავშირებულია 2024 წლის არჩევნებთან

გამოიძახა, მაგრამ ერთია - რას „შეუკვეთავ“ და მეორე - რა „ჩამოვა“. მიმართა, რომ ხელისუფლების ცვლილება გარდაუვალია და ამაზე მეტყველებს კრიზისი, რომელიც ხელისუფლებასა და პარტია „ქართული ოც-



|| ივანიშვილს ჰგონია, მაშველი რგოლია, მაგრამ ამაოდ. ყველაზე მეტად მისი მობრუნებით ოპოზიცია იხეირებს, რადგან მისი სიტყვა თავადვე გააუფასურა. უჭირს „ოცნებას“ და ბიძინა გამოიძახა, მაგრამ ერთია - რას „შეუკვეთავ“ და მეორე - რა „ჩამოვა“

ნებაშია“. ივანიშვილი სტრუქტურულ უმნიშვნელო ცვლილებას (ფორმალურად მაინც) გააკეთებს, თუმცა ძირითად ცვლილებებს არ ველო, რადგან თავად გუნდი არ მისცემს ამის საშუალებას. არ გამოვიცხავ პრემიერ-მინისტრის ცვლილებასაც. ივანიშვილი ერთ წრეზე ტრიალებს და არ გამოვიკრძალებ, წინა რომელიმე პრემიერი გუნდში ისევ გამოიძახოს.

დაბოლოს გთავაზობთ პოლიტოლოგ ბიბი სხუაშვილის მოსაზრებასაც, რომელიც ფიქრობს, რომ ივანიშვილის ამ ნაბიჯით საქართველოში პოლიტიკური წესრიგი დაბრუნდა:

„დღეს მისი პოლიტიკაში დაბრუნება „ქართული ოცნებას“ საარჩევნო მიზნებისთვის არაფერში სჭირდება. აქედან გამომდინარე, აქ გხედავ მხოლოდ პირად მოტივებს, პირად შფოთვებსა და რისკებს. ზოგადად, ქვეყნისთვის მისი ეს გადაწყვეტილება კარგია - ჩრდილოეთი მმართველობა ძალიან აზინებს ქვეყანას. თუ შენ მართავ ქვეყანას, ჯობს, შენი ინსტიტუციონალიზაცია მოხდეს. თუ რაღაცას აკეთებ, პასუხისმგებლობაც შენი უნდა იყოს. ბიძინა ივანიშვილი რაღაცას უნდა შეეცადოს და ჩვენ იმუხლებული ვიყოთ, აქციებს ღარიბაშვილს ვუწყობდეთ, არასერიოზულია. ეს ძალიან აზინებს სახელმწიფოს. ოპოზიციისთვისაც კარგია, რადგან რეალური სამიზნე უკვე გამოკვეთილია. ბიძინა ივანიშვილის ამ ნაბიჯით, გარკვეულწილად, პოლიტიკური წესრიგი დაბრუნდა. ვინ ვინ არის, ყველას თავისი სახელი ჰქვია და არა ისე, რომ არის და თან არ არის. რელიგიაში იყო გადასული ადამიანი, რომელიც ყველაზე იყო და... თან არსად იყო. პოლიტიკა ხომ რელიგია არაა. დაგბრუნდეთ მიწაზე და რეალურად, ჯანსაღი პოლიტიკა გაწარმოთ.





„ჩვენ ხელისუფლება, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, კოალიციური წარმომადგენელი“

ლუაზა ხომბორი 593 50 82 69

2023 წელი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ამ წლის მთავარი მოვლენა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება იყო, რაც საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა და თავის კეთილ კვალს საშინაო პოლიტიკაშიც ატოვებს.

ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ახლა საქართველო მიიღო კანდიდატის სტატუსი, ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია ასეთი წარმატება საგარეო კუთხით. ვულოცავ ჩვენს მოსახლეობას ამ წარმატებას. გარდა ამისა, გვგრძელს ვერ ავუვლით არასახარბიელო მოვლენებს. სამწუხაროდ, ისევ გრძელდება პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც ამ ეტაპზე იკვეთება, კითხვებს აღძრავს. რომლებზე პასუხისთვის „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერს, ბათუმის საკრებულოს წევრ მამუა ლაჩიას მივმართავ.

პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით, როგორ შეაფასებთ განვლილ წელს?

2023 წელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო გამოირჩეული: საქართველომ მიიღო კანდიდატის სტატუსი, ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია ასეთი წარმატება საგარეო კუთხით. ვულოცავ ჩვენს მოსახლეობას ამ წარმატებას. გარდა ამისა, გვგრძელს ვერ ავუვლით არასახარბიელო მოვლენებს. სამწუხაროდ, ისევ გრძელდება პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც ამ ეტაპზე იკვეთება, კითხვებს აღძრავს. რომლებზე პასუხისთვის „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერს, ბათუმის საკრებულოს წევრ მამუა ლაჩიას მივმართავ.

ბიძინა ივანიშვილი წლის ბოლოს დაბრუნდა პოლიტიკაში...

ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ შიდა კვლევების შედეგები არ მოეწონა, ბიძინა ივანიშვილის „მესამე მოსვლა“ დასტურია იმისა, რომ ის აქამდე არასდროს დასტურდა და ყველა გადაწყვეტილება, რომელიც აქამდე მიიღებოდა მმართველი გუნდის მიერ, მასთან იყო შეთანხმებული. ეს მისი განცხადებითაც დასტურდება. დემოკრატიის ნაცვლად „ქართული ოცნება“ ისევ ცდილობს წინასწარჩვენო პერიოდში მასქიმალურად პოლიტიკურად გარემოში შექმნას და ისევ საუბრობს იმაზე, რომ ბიძინა და მისი დღეს არჩევანი. არ გამოვიციხვას, რომ მიხვდით სააკაშვილიც დააბრუნონ პოლიტიკურ ველზე და ისევ ამ ფორმით შეეცადონ საკუთარი დაბალი რეიტინგის მომატებას. ბიძინა ივანიშვილის ეს ნაბიჯი ამის ნათელი დადასტურებაა.

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის შენიშვნები უსაფუძვლოა და ქვეყანა ვითარდება...

ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსი მოქალაქეების საქართველოში მიგრაციაა, რაც პრობლემურია ქვეყნისთვის. ვერ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანები დიდ ფულს შოულობენ, ხოლო ჩვეულებრივი მოქალაქე ღარიბია და ამ ეკონომიკური ხერხის ვერ გრძობს.

ოპოზიციის მასხათებელია ხელისუფლების კრიტიკა და რჩევების მიცემა სხვადასხვა საკითხზე. თქვენი პარტიის შენიშვნები რამდენად არგუმენტირებულია?

საქართველოს პარლამენტსა და ბათუმის საკრებულოში არცერთი ჩვენი ინიციატივა არ არის განხილული. მაგალითად, საქართველოს პარლამენტში გვქონდა წარდგენილი საქართველოს თავდაცვის აქტი, რომელიც გულისხმობს შეზღუდვებს რუსულ ბიზნესთან, მოქალაქეებთან მიმართებით, ასევე სავიზო რეჟიმის და საოკუპაციო მოსაკრებლის დაწესებას. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი იგნორირებული იყო მმართველი გუნდის მხრიდან.

მიზეზად რა დაასახელეს?

გვითხრეს, ფაშისტები ხართო... უაზრო არგუმენტები ჰქონდათ.

რაიკა ოპოზიციის განხილვით, მინდა გითხროთ: დღესდღეობით რა სტადიაშია ოპოზიციური სპექტრი?

ძალიან ჭრელია ოპოზიციის ფიქრობენ, რომ ოპოზიციაც ერთ ქვამზე იხარება, მაგრამ ასე არ არის, ყველა თავისი დღის წესრიგი აქვს. მაგალითად, ჩვენ ვცდილობთ, გავძლიერდეთ ინდივიდუალურად. რამდენიმე დღის წინ გვქონდა საკმაოდ წარმომადგენლობითი ყრილობა, ავირჩიეთ განახლებული პოლიტსაბჭო... რეგიონებშიც აქტიურად ვცდილობთ დამოუკიდებლად გაძლიერებას,



თუმცა დია ვართ თანამშრომლობისთვის. საპარლამენტო საქმიანობაში ოპოზიციურ პარტიებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით ოპოზიციის ვერ ქმნის დღის წესრიგს ქვეყანაში და მხოლოდ სატელევიზიო ოპოზიციად გადაიქცა.

სამწუხაროდ, პრობლემები ოპოზიციისთვის თვალსაჩინოა, თუმცა რთულია დღის წესრიგის შექმნა მათში, როცა ხელისუფლებაში გყავს ძალია, რომელიც შენს არცერთ ინიციატივას წარმომადგენლობით ორგანოში არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ, საზოგადოებას დავანახოთ, თუ რას გვაუკეთებთ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ჩვენ ხელისუფლება, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, კოალიციური წარ-

ჩვენ ვაპირებთ თანამშრომლობას ნიკა მელიასთან, თუმცა ეს არ იქნება საარჩევნო კოალიცია. ვმუშაობთ იმაზე, რომ „ლელო საქართველოსთვის“ საარჩევნო ნომერი იყოს 9 იმიტომ, რომ (იგივე ნიკა მელიას გუნდის და სხვა ოპოზიციური ძალებისგან განსხვავებით, რომლებიც გაერთიანებაზე საუბრობენ) ჩვენ ვართ კვალიფიციური სუბიექტი, შესაბამისად, კვალიფიციური სუბიექტობა სხვადასხვა სახის ბენეფიტს გვაძლევს

მოგვიდგენია და ამ კოალიციაში ჩვენთვის რა საკითხები იქნება მნიშვნელოვანი, ამაზე ყოველთვის ვესაუბრებით საზოგადოებას.

კონკრეტულად რა საკითხებია თქვენი პარტიისთვის აქტუალური?

უნდა აღმოიფხვრას პოლიტიკური, გაუმჯობესდეს ეკონომიკური მდგომარეობა, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას ოკუპირებული ტერიტორიების დაეკუპაციის კუთხით, ასევე, ევროკავშირთან დაახლოება მასქიმალურად უნდა დაჩქარდეს, ანუ დავეწვიოთ მოლოდინებსა და უკრაინას. ჩვენი მიზანია, არჩვენებამდე როგორმე შევძლოთ უხმოდ დარჩენილი ემიგრანტები არჩვენებში ჩავართოთ, ეს არის ჩვენი ცენტრალური ხაზი, ანუ შევძლოთ ემიგრანტების საარჩევნო პროცესში ჩართვა, რაც მოლოდინის მაგალითზე გამოჩნდა, რომ გადაწყვეტილებაც კი იყო. ქვეყნიდან წასული ემიგრანტი ვერანაირად იქნება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა გასულ წელს ასე ათასზე მეტი მოქალაქე გავიდა ქვეყნიდან.

რას იტყვი „ნაცმოძრაობაში“ განვითარებულ მოვლენებზე?

ჩვენმა პარტიამ რამდენიმე დღის წინ ჩაატარა შიდა არჩევნები და ამით მხოლოდ და მხოლოდ გაძლიერდა „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, რომელიც, ფაქტობრივად, შიდა არჩევნებმა დაშალა. რა თქმა უნდა, ეს საერთო ოპოზიციურ ველს აზარალებს, თუმცა გამოყოფილი ფრთა, ნიკა მელიასი, აანონსებს ახალი პარტიის შექმნას.

თქვენი პარტია თანამშრომლობს ნიკა მელიას ახალ პარტიასთან?

ჩვენ ვაპირებთ თანამშრომლობას ნიკა მელიასთან, თუმცა ეს არ იქნება საარჩევნო კოალიცია. ვმუშაობთ იმაზე, რომ „ლელო საქართველოსთვის“ საარჩევნო ნომერი იყოს 9 იმიტომ, რომ (იგივე ნიკა მელიას გუნდის და სხვა ოპოზიციური ძალებისგან განსხვავებით, რომლებიც გაერთიანებაზე საუბრობენ) ჩვენ ვართ კვალიფიციური სუბიექტი, შესაბამისად, კვალიფიციური სუბიექტობა სხვადასხვა სახის ბენეფიტს გვაძლევს, მაგალითად, უფასო პოლიტიკური რეკლამას, წარმომადგენლებს საარჩევნო უბნებში... ამიტომ სხვა სახით არჩვენებზე ვასვლა პირდაპირ გვაცლის ხელიდან ამ ბენეფიტებს. არა მგონია, სწორი იყოს, საკუთარ თავს ამხელა რესურსი გამოაცვალო.

ნია, სწორი იყოს, საკუთარ თავს ამხელა რესურსი გამოაცვალო.

ამ დრომდე მთავარი ოპოზიციური ძალა „ნაცმოძრაობა“ იყო, მათი დაშლა რამდენად დაზიანებს ამ პარტიას საარჩევნო?

„ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან დაზიანებულია. მათ, ფაქტობრივად, ყველა დიდ ქალაქში გამოეყო მნიშვნელოვანი ბირთვი, მათ შორის საკრებულოს წევრები, მაგალითად, ბათუმში საკრებულოს წევრმა დატოვა „ნაცმოძრაობა“, ზუგდიდში, თუ არ ვცდები - თორმეტმა. ეს მოსალოდნელი იყო - წარმოუდგენელია, სხვა დამოკიდებულება იყოს იმ პარტიის მიმართ, რომელიც აბრუნებენ ადამიანებს, ამ ქვეყნის უმრავლესობას რომ ეზიზღება (გვულისხმობ ვანო მერაბიშვილს და დავით კეჭერაშვილს), მით უმეტეს, მიხელო სააკაშვილი ციხეშია, იქ რა ამბები შედის და რა ინფორმაცია გამოდის, კაცი შეიძლება არ იყოს, ამიტომ „ნაცმოძრაობას“, როგორც აღვნიშნე, მძიმე დღეები უდგას.

ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტი ხშირად აკრიტიკებს მმართველ პარტიას, ხომ არ არის მოსალოდნელი, მან ახალი ოპოზიციური პლატფორმა შექმნას?

კი, არის საუბრები, თუმცა არა მგონია, ეს რეალობა იყოს. საპარლამენტო არჩევნებამდე (ვადებში) სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი იქნება და შესაბამისად, თუ ის ახალ პარტიას შექმნის, უნდა დატოვოს ეს თანამდებობა, რაც პირდაპირ ნიშნავს მმართველი გუნდისთვის დამატებითი რესურსის მიცემას, ვინაიდან „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული ხმონებით არჩეული პრეზიდენტი იქნება მათი მხარდამჭერი. უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პრეზიდენტის დიდი მოტრფივად არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ამ ბოლო დროს ნამდვილად განსხვავებულ ნაბიჯებს დგამს მმართველ გუნდთან მიმართებით. ვნახეთ, რომ ძალიან მკა-

საგარეო საკითხსაც შეგვნობ: ამჟამად რა ფაზაა რუსეთ-უკრაინის ომში და ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი ომის დაკონსერვებას ცდილობს?

მნიშვნელოვანი კითხვაა. სამწუხაროდ, ჩვენს რეგიონში გაყვნილი კონფლიქტები ახალი არ არის, თუმცა ამ კონფლიქტის დაკონსერვების მცდელობა არ იკვეთება, განსაკუთრებით უკრაინის პოზიციიდან გამომდინარე. უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი აქტიურად მუშაობს, რომ გაიზარდოს უკრაინის დაფინანსება, მათ შორის შეიარაღების კუთხით. შეიძლება ეს (ანუ ომის გაყვნივა) სამომავლო პერსპექტივა იყოს, თუმცა ამ ეტაპზე ომი ცხელ ფაზაშია, ყოველდღე ასობით ადამიანი იღუპება, ნადგურდება ინფრასტრუქტურა. იმედს ვიტოვებ, რომ უკრაინა ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და თავის ტერიტორიულ მთლიანობას შეინარჩუნებს. მეთელი მსოფლიო ებრძვის რუსეთს და ამ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს მსოფლიოსთან ბრძოლას, თითქმის მესამე წელია, ომი მიმდინარეობს და რუსეთს არათუ წინსვლა, უკუ-სვლა აქვს სხვადასხვა მიმართულებით.

წლის მიწურულს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. თქვენი პარტია რას სთავაზობს ამომრჩევლებს?

2024 წელი არის გადაწყვეტი, ვმუშაობთ საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, როგორც კი ამ ქვეყანაში კოალიციური მთავრობა იქნება, ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას, რომ სამიდან ექვს თვემდე ვადაში, ევროკავშირთან დაეწვიოთ საუბარს გაწვევების შესახებ. ეს არის ჩვენი მთავარი დათქმა. გარდა ამისა, კონკრეტული საარჩევნო გეგმა გვაქვს - „მარშალის გეგმის“ განახლებული ვარიანტი. საზოგადოებას შევთავაზებთ, მაგალითად, აჭარაში რა სარგებელს ნახავს მოსახლეობა იგივე სოფლის მეურნეობის ანუ მეთამბაქოეობის,

კრი განცხადება გააკეთა, მოუწოდა საერთაშორისო პარტნიორებს, დაგმონ რუსეთის საზღვარეულო ბაზის მშენებლობა ოკუპირებულ რაზონებში, რაზეც ჩვენს პრემიერს არ გაუკეთებია კომენტარი.

ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კანდიდატის სტატუსის მინიჭება იყო.

ცხადია, და მასში უმნიშვნელოვანესი წვლილი ჩვენს მოსახლეობას, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს მიუძღვით.

სხვათა შორის, მმართველი პარტია აცხადებს, რომ მათი დამსახურებაა, საქართველოს კანდიდატის სტატუსი რომ მიენიჭა, რას ფიქრობთ?

ცხადია, ხელისუფლება ამას იტყვის, მისგან ეს არცაა გასაკვირი, თუმცა ფაქტები სხვაზე მეტყველებს. როცა კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭეს, დიდა თქვეს, რომ ეს არის ქართველი ხალხის დამსახურება და ხელისუფლების წვლილი ამაში არ არის იმიტომ, რომ გვახსოვს, ჯერ გვარამია დაიჭირეს, როცა კანდიდატის სტატუსს ველოდებოდით, ასევე ვნახეთ, რომ სტატუსის მინიჭების მოლოდინში საქართველოს პრეზიდენტის იმპრინენტი დაიწვეს. გარდა ამისა, სანქცირებული მოსამართლეები დააწინაურეს, მოკლედ, ნაბიჯები უკუღმა გადადგეს.

ხარკოვზე სარაკეტო შეტევისას დაზარალებულთა შორის საქართველოს და თურქეთის მოქალაქეები არიან

10 იანვრის ღამეს სარაკეტო თავდასხმა იყო ხარკოვში, ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმროზე. დაზარალებულთა შორის 11 ადამიანი. საოლქო პროკურატურის ინფორმაციით, მათ შორის არიან საქართველოს ერთი და თურქეთის ერთი მოქალაქე, რომლებიც თურქული მედიის წარმომადგენლები არიან. დაზარალებულები არიან 31-დან 38 წლამდე ასაკის 4 კაცი და 23-დან 71 წლამდე ასაკის 7 ქალი. ხარკოვის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის უფროს, ოლეგ სინეგუბოვის განცხადებით, 9 პირი კლინიკაში გადაიყვანეს. ერთის მდგომარეობა მძიმეა.

მედიტრუსეობის, კახეთში - მეღვინეობის მიმართულებით. მოკლედ, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს მოსახლეობას შევთავაზებთ პროგრამას, რომელშიც ის თავის თავს დაინახავს.

დაბოლოს, როგორ იქნება ძალთა გადანაწილება მომავალ პარლამენტში?

ჩვენ თუ შევძლებთ, რომ არჩვენებზე ხმები მინიმალურად დაიკარგოს, მაშინ გვაქვს შანსი, ხელისუფლება შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ ოპოზიციური ხმების 15-20 პროცენტი დავკარგებთ, მმართველ გუნდს შესაძლოა 40 პროცენტი იყოს ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ამიტომ ამ მიმართებით უნდა იმუშაოს ოპოზიციამ. თუ ოთხი-ხუთი ოპოზიციური ძალა გადალახავს საარჩევნო ბარიერს, ეს, დიდი ალბათობით, ნიშნავს, რომ ხელისუფლება 2024 წელს არჩვენებზე შეიცვლება, ანუ იქნება კოალიციური მთავრობა. გარდა ამისა, პარტიის თითოეულმა ლიდერმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ მის სიაში მყოფი ადამიანები არ გაიყვანებოდნენ. მჭერა, ჩვენი მოსახლეობა სწორ არჩევნებს გააკეთებს არჩევნებზე და ქვეყანას ეყოლება კოალიციური მთავრობა, რომლის უმთავრესი საზოგადოებრივი მიზანია ადამიანების გადარჩენა.



„სასიხარულთა, როსა აღამიანები ერთმანეთს ბედნიერებას სარუქრის სახით უზიარებენ“

მარია ხოთაბაძე 27 48 93

თვლის, რომ 2024 წელს მის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდება, რომ ნებისმიერ ასაკში უნდა დავრჩეთ ბავშვებთან...

ჩვენი სტუმარია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტო პარფომოვი. „აჭარის“ მკითხველი დღეს მას სხვა კუთხითაც გაიცნობს.

როგორ ხვდება ოჯახს შობა-ახალ წელს? რა ტრადიციები აქვთ? რომელი ახალი წელი ახსოვს ბავშვობიდან და რა ჩაიფიქრა 31 დეკემბერს? - ამაზე თავად გვესაუბრება

- ბატონო ტიტო, ახალი წელი გიყვარება?

- ზოგადად, ახალი წელი საოცნებო დადსასწაულია ბავშვებისთვის. ჩემს ბავშვობაშიც, მიუხედავად იმისა, რომ გავლილი გვაქვს ძნელი, ურთულესი პერიოდები, ახალი წელი ყოველთვის იმედთან, სასწაულებთან ასოცირდება. ახლაც ვფიქრობ, რაღაც ისეთი მოხდება, რაც გარდატეხას შეიტანს ცხოვრებაში, თუნდაც, ჩემს გამოწვევებთან მიმართებაში, ან რაღაც პრობლემების

ით აუცილებელი ასეთ დღეებში?

- ჩვენი მთავარია, ოჯახის წევრები შევიკრიბოთ და ერთად აღვნიშნოთ ახალი წლის მოსვლა. მე უფრო შობის მიმართ მაქვს განსაკუთრებული განცდები. სუფრის ტრადიცია, რა თქმა უნდა, ყველა ოჯახშია და მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტი არაფერი მიყვარს, ახალ წელს ყველაფერ ზედმეტს ვაკეთებ, ხვავი, ბარაქა რომ დაგვებდოს და ბარაქიანი წელი გამოვიდეს. ტრადიციად გვაქვს ქართული ღვინით დალოცვა და აუცილებლად 12 საათზე, „მრავალჯამიერის“ და ასევე, საქართველოს ჰიმნის მოსმენა. თუკი ეთერში არ გადის, მაშინ თავად ვრთავ. ჰიმნს ფეხზე ამდგარი ვუსმენ, რადგან ჩვენი ყველაზე ძვირფასი ჩვენი ქვეყანაა. ქვეყნისთვის ბედნიერი ახალი წელი კი თითოეული ჩვენგანის ოჯახებში ბედნიერ ახალ წელს ნიშნავს.

- ბავშვობიდან განსაკუთრებულად რომელი ახალი წელი დაგამახსოვრდა?

- კომუნისტურ ახალ წელსაც

ვილიყო. თამამად შემიძლია ვთქვა, ბავშვობიდან მოყოლებული, თითქმის ყველა ახალი წელი მახსოვს. თუ ვინმე მკითხავს, 31 დეკემბერი როგორი იყო, შეიძლება 46-ე დეტალურად ვერა, მაგრამ 40 ახალი წლის განცდებს მაინც მოვყვები.

- თვლის ბავშვის არსებობის გზიდან?

- ალბათ, მკეროდა. სხვათა შორის, ახლა უფრო სხვა თვლით ვუყურებ ამ საკითხს. იუმორით რომ ვთქვათ, მშობლები წვალბენ, ყიდულობენ საჩუქრებს და ყველაფერი თოვლის ბაბუსა „ბრალდება“. ესეც ერთგვარი სიმბოლიზშია და ვთვლი, რომ ეს რწმენა ბავშვებში აუცილებლად უნდა არსებობდეს. შობის დღესასწაულზე, ეგროპაში, სანტა კლაუსი, რომელიც კათოლიკური თვალსაზრისით წმინდა ნიკოლოზია, ღარიბებისთვის საჩუქრებს არიგებს და აბედნიერებს მათ. ჩვენ ქართული თოვლის ბაბუა გვყავს, რომელიც ასევე ასოცირდება საჩუქრების და სიხარულის მოტანასთან. ალბათ, ქვეცნობიერში, ახლაც



ლოვის იყო და იქნება, რადგან სწორედ ის არის სიხარულის მომტანი, რომ აღამიანები ერთმანეთს ბედნიერებას საჩუქრის სახით უზიარებენ. მის ღირებულებას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, გულით გისახლოვდეთ.

- ახალი წლისთვის პროდუქტების ყიდვის პროცესში რამდენად ხართ ჩართული?

- გერასდროს ავცდი ამ საქმეს (იცინის). მახსოვს, მოზარდი რომ ვიყავი, დედაჩემს დავყავდი საკონდიტორული ბაზარში საახალწლო პროდუქტების საყიდლად. მაშინ არ გვქონდა იმის ფუფუნება, რომ ავტომობილი გვყოლოდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით დავდიოდით. ეს პროცესი არ მიყვარდა. ახლაც ასე ვარ, თუმცა სამზადისში ბოლომდე ვარ ჩართული და მეუღლეს სუპერმარკეტებში დავყვები. ალკოჰოლი და ხორცპროდუქტები მე მხეხება და ვფიქრობ, სანამ ცოცხალი ვიქნები, ასე გაგრძელდება.

- ახალი წლის დღეებში უმაღლესი საბჭოს წევრები თუ გასტუმრობენ?

- რა თქმა უნდა. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურ სიტუაციაში ერთად ვართ და ნებისმიერ გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ, ახალ წელსაც ერთმანეთს აუცილებლად ვსტუმრობთ, ან ერთ დღეს ვირჩევთ და იმ დღეს ვხვდებით. ცხადია, ყოველდღიური ურთიერთობიდან გამომდინარე, სადღესასწაულსაც ერთად აღვნიშნავთ.

|| ახალ წელს ყველაფერ ზედმეტს ვაკეთებ, ხვავი, ბარაქა რომ დაგვებდოს და ბარაქიანი წელი გამოვიდეს. ტრადიციად გვაქვს ქართული ღვინით დალოცვა და აუცილებლად 12 საათზე, „მრავალჯამიერის“ და ასევე, საქართველოს ჰიმნის მოსმენა. თუკი ეთერში არ გადის, მაშინ თავად ვრთავ. ჰიმნს ფეხზე ამდგარი ვუსმენ, რადგან ჩვენი ყველაზე ძვირფასი ჩვენი ქვეყანაა. ქვეყნისთვის ბედნიერი ახალი წელი კი თითოეული ჩვენგანის ოჯახებში ბედნიერ ახალ წელს ნიშნავს

გადალახვაში. რეალურადაც ასეა, აღამიანი ხომ უფლისმიერი არსებაა, კოსმიური ენერგიით სავსე - რასაც ფიქრობს და გულით სწამს, ის აუცილებლად აუსრულდება. ყველაფერი ბრუნდება უკან. ასე რომ, უნდა გვგვარდეს ახალი წლის სასწაულები, 80 წლის ასაკში უნდა დავგრძელო ბავშვებთან და ბავშვურად გვიხაროდეს ახალი წლის მოსვლა.

- როგორ ხვდება თქვენს ოჯახს შობა-ახალ წელს, რამე ტრადიცია თუ გაქვთ და რა არის თქვენი აზრი

მოვესწარი და, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი, ლამაზი იყო ის წლები. მახსოვს 90-იანი წლები, სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი, მთელი თვე არ იყო შუქი და ახალ წელს მოვიდა. ეს იყო ბედნიერება. მაშინ ტელევიზიის მხოლოდ სამი არხი არსებობდა და მეოთხე რომ დავმეტა, უბედნიერესი ვიყავი (იცინის). ის განცდა დღემდე მახსოვს. თანდათან, რა თქმა უნდა, მოთხოვნებიც იცვლება და გარკვეულწილად, ვითარებაც, თუმცა ყოველთვის ვცდილობდით, ყველა ახალი წელი განსაკუთრებული და გამოჩინებული ყო-

მკერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს და ის სურვილებს აუცილებლად აგვისრულებს. მთავარია, გვჯეროდეს იმის, რა სურვილსაც ჩავთვითქვით.

- ოჯახის წევრები ერთმანეთს საახალწლო საჩუქრებს თუ ჩუქნიან?

- რა თქმა უნდა, ეს გარდაუვალი ტრადიციაა. სხვათა შორის, არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, მეგობრებსაც და ყველა იმ აღამიანს, ვინც ჩვენ ირგვლივ ტრიალებს, მინდა რაღაც სიმბოლურად მაინც ვუსახსოვრო. ეს ტრადიცია ალბათ, ყოვე-

ულს დღეებსაც ერთად აღვნიშნავთ. ეს ბუნებრივი და სასიამოვნო პროცესია. მოგხსენებთ, ოფიციალურ გარემოში შეხვედრა სხვაა, არაოფიციალურ გარემოში კი სულ სხვა ელფერი აქვს ყველაფერს. ხანდახან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც მიიღებოდა საქართველოში არაოფიციალურ გარემოში. ასე რომ...

- ოდესმე მეკვლი თუ ყოფილხართ და როგორი წელი იყო მათთვის?

- ალბათ, კი, თუმცა ასე გამოკვეთილად არ მახსენდება. ბავშვობაში, მახსოვს, რომ ძმა ვართ და დედაჩემი მე, როგორც უმცროს შვილს, გარეთ მიშვებდა, რომ მეკვლე ვყოფილიყავი. ესეც ჩვენი ერთგვარი ტრადიციაა. თუ დააკვირდები, აღმოჩენ, რომ ვიღაც შენთვის ფეხბედნიერია, მუდმივად სიკეთე მოაქვს.

- თქვენს ოჯახში ვინ არის ხოლმე მეკვლე?

- ალბათ, შვილები, ბატარები, რომლებიც მუდმივად გადიან და შემოდებიან. სავარაუდოდ, მეკვლეებიც ისინი იქნებოდნენ.

- საახალწლო დღესასწაულებზე როგორია ნასვამი ტიტე არაშიქე?

- არა მხოლოდ საახალწლო დღესასწაულებზე, ზოგადადაც, ნასვამი მხიარულების, სიკეთის, მოფერების, სიყვარულის სახითაა ვარ. ალკოჰოლი აღამიანს არ უნდა აბოროტებდეს, პირიქით, ის არის საშუალება, რომ სტრესისგან განიმუხტო და უფრო მეტი თავისუფლება მისცე საკუთარ თავს. ეს თავისუფლება კი სიკეთის კეთებაში უნდა გამოხატოს. რასაც სიფხიზლეში ვერ ეუბნები აღამიანს (რა თქმა უნდა, დადებითზეა საუბარი), სიმთვრალეში, ან ნასვამმა უნდა უთხრა. ვფიქრობ, ნასვამი არ ვარ ცუდი აღამიანი (იცინის).

- ბევრმა არ იცის, რომ სტრესის მოსახსნელად, თავისუფალ დროს ხატავთ...

იხ. მე-7 გვ.

მისი პირველი კუბლისსტური შემოქმედება „აჭარას“ უკავშირდება


მარია ხოთაბაძე 27 48 93

ახალი წელი დიდებისთვის თუ პატივებისთვის, თითქმის გამოწვევის გარეშე, ყველასთვის საყვარელი დღესასწაულია. მას სილამაზესთან და სიკეთესთან ვაიგივებთ, ახალი წლის ღამის მომზადებულად კი უკეთესობის იმედს, მშვიდობას, სიყვარულსა და ურთიერთგაგებას ვუკავშირებთ

ჩვენი სტუმარია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი ბიორბი მასალკინი. როგორი იყო მისთვის 2023 წელი? რას იტყვის ყველაზე გამოჩინებულ ახალ წელს თავის ცხოვრებაში და როგორ ხვდებიან მის ოჯახში ამ დღესასწაულს? - დღეს იგი ამ და სხვა შეკითხვებზე გვიპასუხებს.

- ბატონო გიორგი, პირველ რიგში ჩვენი გაზეთით დავიწყეთ, ვიცით, რომ თქვენი სიდედრი გაზეთ „აჭარაში“ მუშაობდა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ გამოცემის მიმართ, როგორი იყო იგი, ახლა როგორია და რას უსურვებთ?

- დიან, გაზეთ „აჭარაში“ მუშაობდა ჩემი სიდედრი, ლიანა ხუხუნიანი. იგი საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ეკონომიკის მიმომხილველი იყო. სტატიებს წერდა ეკონომიკის საკითხებზე. თავის დროზე ამ გაზეთს ძალიან ბევრი მკითხველი ჰყავდა. ჩვენი რეგონისთვის, პრაქტიკულად, „ნიუ იორკ თაიმსის“ როლს ასრულებდა. შემდეგ, სხვადასხვა მიზეზთა გამო სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ გაზეთის მიმართ მაინც გამაჩნია სენტიმენტები. ჯერ ერთი, ჩემი პირველი პუბლიცისტური „შემოქმედება“ სწორედ გაზეთ „აჭარას“ უკავშირდება. სხვათა შორის, სწორედ ამ სტატიებმა (1980-1990 წლები) გამახდა გარკვეულად „ცნობადი სახე“. ამას-



თან, გაზეთში ბევრი მეგობარი და კარგი ნაცნობი მუშაობდა და მუშაობს. ვუსურვებ, ყოველთვის ჰყავდეს მკითხველი, ამისათვის

|| ჩემთვის იყო დამაბული, მაგრამ საინტერესო წელი ახალი გამოწვევებით. მაგალითად, ინგლისურად ლექციების წაკითხვა დავიწყე ესპანეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში „ერასმუსის“ პროგრამით, უნივერსიტეტში საინტერესო პროექტებს ვახორციელებ ახალგაზრდებთან ერთად. საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა დასავლეთის მიმართულებით

კი ის ექსტრალური უნდა იყოს, არა სკანდალური, მაგრამ ისეთი, რომ ხალხი ალაპარაკოს - „წაიკითხე გუშინდელი სტატია „აჭარაში““

- 2023 წელი როგორი იყო, პირველ რიგში, თქვენთვის და მერე საქართველოსთვის... და აქვს თუ არა კავშირი ერთს მეორესთან?

- ჩემთვის იყო დამაბული, მაგრამ საინტერესო წელი ახალი გამოწვევებით. მაგალითად, ინგლისურად ლექციების წაკითხვა დავი-

წყე ესპანეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში „ერასმუსის“ პროგრამით, უნივერსიტეტში საინტერესო პროექტებს ვახორციელებ ახალგაზრდებთან ერთად. საქართველომ დიდი ნაბიჯი გადადგა დასავლეთის მიმართულებით და ეს ნაბიჯი აუცილებლად მოახდენს დადებით გავლენას განათლების სფეროზე, რომელსაც წარმოვადგენ. ასე რომ, კავშირშია.

- ყველაზე გამოჩინებული ახალი წელი რომელი განხსენდებათ და რატომ?

- მხოლოდ ორი ახალი წელი მახსენდება ოჯახის გარეშე გატარებული, ეს სტუდენტობისას იყო. მიყვარს ოჯახში შეხვედრა, სიმყუდროვე და არ მიყვარს ამ დღეს დიდი სტუმრობა.

- ახალი წლის შეხვედრის მომენტი თუ გქონიათ რაღაც მოვლენით გამოჩინული, ორიგინალური და უჩვეულო?

- უბრალოდ, ემოციური მომენტი. დრო, კალენდარი ხომ პირობითი ცნებაა, მაგრამ მათ

ის შესაბამისობაში თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან.

- წლებთან ერთად ხომ არ შეგცვლიათ ახალი წლის სიხარულითა და მოლოდინით შეხვედრის ჩვევა?

- დიდად არა. შეიძლება ითქვას, რომ სიხარული ოდნავ მეტია, ვიდრე მოლოდინი. თუ პირიქით?!

- თქვენს ოჯახში ყველაზე მეტად ვის ახარებს ახალი წლის მოსვლა?

- ბუნებრივია, შვილიშვილებს, ოთხი მყავს და ოთხივე ბათუმში ცხოვრობს.

- ნაძვის ხის აწყობის თქვენთვის რიტუალი თუ გაქვთ? ერთად აწყობთ, თუ რომელიმე ოჯახის წევრი თაობს?

- ეს საქმე მეუღლის პრეროგატივაა!

- რამე ცრურწმენა ხომ არ გაქვთ ახალ წელთან დაკავშირებით (ასე თუ შეხვედრის, ასეთი იქნება და ა.შ.) ამ „დაცდილი“ თუ გაქვთ რამე?

- არავითარი ცრურწმენა!

- სამეგობრო წრეში თუ გაქვთ ახალი წლის შეხვედრის რამე ტრადიცია?

- უშუალოდ ახალ წელს ვურეკავთ ერთმანეთს, სტუმრობა კი მომდევნო დღეებში გვეწყება. აქ გარკვეული ტრადიციები გვაქვს...

- რას უსურვებთ ჩვენს მკითხველს?

- მშვიდობას, მათ შორის სულიერ სიმშვიდეს, კეთილდღეობას და ბევრ პოზიტიურ და საინტერესო სიუარპრობს.



„უფლის საგალობელი“ – თანამედროვე ეროვნული პოეზიის შედეგები

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

პოეტ **ფრიდონ ღვინტიანი** დაბადებულია 60 წელი შეუსრულდა. მას მშობლიური შუახევი და შუახეველები სათანადოდ მოეფერნენ. თავის საქმიანობაზე ფრიდონ დავითაძე „აჭარასთან“ საუბრობს.

- ბატონო ფრიდონ, ჟურნალისტებისა და გაზეთის მკითხველების სახელით, გილოცავთ. რა გზა გამოიარეთ დღემდე?

- დიდი მადლობა ყოველ კოლეგებსა და გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველსაც! დღემდე იყო - „გზანი წამებისანიც“ და „გზანი სიამტკბილობისანიც“... ბედნიერი ვიყავი და იმედგაცრუებულიც, წარმატებულიც და ხელმოცარულიც... თუმცა, არასდროს დამვიწყებია ყველაზე მთავარი - არ არსებობს მწვერვალი, რომლის დალაშქვრაც შეუძლებელია. არ უნდა გემინოდეს სიმაღლისა და დაბრკოლებებისა!

- შემოდგომის დასაწყისში, ჭექა-ქუხილის შემდეგ სოკო მიწას რომ გაარდევს და ამოხეთქავს, ამნაირი სიმძლავრით შემოდგომა ყველგან პოეზიაში. რას უმადლით ამას?

- უფლის ნებას, სხვა რას უნდა ვუმაღლოდ? არ ვიცი, ახლა ვინ როგორ აფასებს ჩემი გონის ნაუფურს, მაგრამ წინა წელს რომ ხვარეილი შემოდგომა მქონდა, ამას არ უარგვოფ. ადრეც ვწერდი, მაგრამ პერიოდულად... როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ სიბერეს კარზედ მივუკაკუნე და... ვასწრებ, ალბათ...

- პირველი წიგნი 55 წელს გადაცილებულმა გამოცემით. „ჩემი ჩუმი ჩანაფიქრის“ შემდეგ, „უფლის საგალობელი“ - თანამედროვე ეროვნული პოეზიის საგანძური შემოგვთავაზეთ.

- პირველი წიგნის გამოცემის „ცოდვა“ ჩემს უახლოეს მეგობრებს - ვაჟა დავითაძესა და ოთარ ფუტყარაძეს ადევთ კისერზე... არც



ნონეო! მეც დავაკანონე.

- ასაკის მიუხედავად, საქმიანი და ახლო მეგობრული ურთიერთობები გქონდა რუსთაველის პრემიის ლაურეატ პოეტ ფრიდონ ხალვაშთან. „ორი ფრიდონი ტაო-კლარჯეთში“ მგონი პირველი მცდელობა იყო ქართულ პოეზიაში ისტორიული კუთხისა და ჩვენი სიწმინდეების სხვა რაკურსით წარმოჩენისა.

- სხვა სიმაღლე იყო სულმნათი ფრიდონი, - სხვა განზომილებას ეკუთვნოდა... ოთხი დღე, რომელმაც შეცვალა ჩემი ცხოვრება, ის დღეებია, რომლებიც ვაჟა დავითაძემ მაჩუქა 2008 წლის ნოემბერში, ოთარ ფუტყარაძესთან და ფრიდონ ხალვაშთან ერთად. ოთარი დეტალურად მაცნობდა ყველა ძეგლის ისტ-

პროფესორი ნატალი მეგრელიშვილი თარგმნის ჩემთვის, რწმენით კი მართლმადიდებელი ვარ... დედას არასდროს უკადრებია ჩვენთვის, შეიღებისთვის, რომ იმ აღმსარებლობის მიმდევარი ვყოფილიყავით, რომელიც მას სწამდა. ის ჩვენ ღმერთის სიყვარულსა და ერთგულებას გვინერგავდა ყოველთვის.

- ნათლებად ორი ღვთისმსახური, ერთი ექიმი და ცნობილი ქველმოქმედი, მეცენატი ლევან (ანდრია) მჭავანაძე აიჩინეთ, ნათლობის ადგილად - ბოლნისი და არა სხალისის ეპარქია. რატომ?

- 9 სექტემბერს მოვიხატეთ. ნათლობის შემდეგ ლევანმა დავით ცეცხლაძეს უთხრა: - ჩვენს ნათლულს რა ენაღვლება, გაუჭირდება - აგერ ვარ, ავად გახდება - მაგერ ხარ და რომ გარდაიცვლება, იგერ არ არიან მეუფე ეფრემი და მამა გიორგი?! მეუფე ეფრემი, თავისი სულიერი მრწამსითა და საუფლო სახლის მსახურებით, სიცოცხლეშივე ლევენდად იქცა. ადამიანმა სიყრმის ასაკიდანვე სააქაო ცხოვრება უძღვნა უფალს და თუ მერგო ღვთისგან და მისგან პატივი, რომ ნათელ-მირთობა გვექონოდა, რა არის ამაში ცუდი?! მამა გიორგი სიკეთის, სიყვარულისა და უფლის გზით მოსიარულე თანამედროვე ადამიანის მაგალითია. მიყვარს იგი, როგორც არა მარტო ნათლია, არამედ რწმენის, სიმტკიცის გარანტი ჩვენს სინამდვილეში. დავით ცეცხლაძე ჩემი სიყრმის მეგობარია. ჩვენი მამები მეგობრობდნენ, ჩვენ ვძმობთ ერთმანეთს. დავითი აჭარაში ცნობილი ექიმი, პროფესორია რადიოლოგიის განხრით. „პატრონი“ ფილტვებსაც სჭირდება და... ამ შანსაც ხელიდან ვერ გავუშვებდი. მასაც გამორჩეულად უყვარს უფალი და ეს სიყვარული განაპირობებს მის დიდ საერისკაცო მოღვაწეობასაც. მას მრავალი მადლი სრულიად უნებაროდ აქვს ნაკეთები, ისე, რომ არც წარმომავლობა უკითხვია ვინმესთვის და არც ჯიბისკენ დაუწყია ყურება, რა უნდა მომცენო. დავითი კაცობის მეტრია

ვარულით. ასეულობით ადამიანი მადლს უძღვის გამჩენს, მისი სააქაოში ყოფნისათვის. მე ვამაყობ, რომ ის ჩემი ნათლიაა. რატომ ბოლნისი? მეუფე ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსია. ბოლნისის სიონი უძველესი აკანია ქრისტიანობისა. ნათლობის დღეს ერთ საოცრებას შევხვდით (მომიტევოს მეუფემ, ამ ამბის გამჟღავნებისათვის...) - მეუფეს ქადაგებას წირვის დროს რამდენიმე ათეული ადგილობრივი, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი, ტაძრის ეზოდან უსმენდა. ყოველ წირვაზე ასეა, თქვენს...

- ახლა ასაკში რა თემის ეკიდებით?

- ჩემთვის არ არსებობს ე.წ. თემები... გწერ ყველაფერზე, რაც მომწონს და რაც არ მომწონს. ყველაფერში „გამომცადა“ უკვე მკითხველმა. რაც არასდროს არ დამიწერია, ეს სიძულვილის თემაა. მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება ღმერთიც, სამშობლოც, ადამიანებიც, სიცოცხლეც და მტერიც კი. არაა ეს ლიტონი სიტყვები, მტერი უფრო უნდა გიყვარდეს, ბოლოს და ბოლოს, ფხიზლად ხომ გამყოფებს კაცს?

- ყოფილ ჟურნალისტს, ახლა საჯარო მოხელეს, რა დამოკიდებულება გაქვთ თანამედროვე მასმედიათა?

- გაზეთი უნდა იყოს აკადემიური, მარტო ერთჯერადად წასაკითხი კი არა. დიდად განათლებული კაცის, აწ განსვენებული ჯუმბერ დავითაძის თქმის არ იყოს, ბალიშქვეშ უნდა გახდეს ამოსადები... ჩვენ ხომ კარგად ვიცით, როგორც ურნალისტებმა, საღად მოაზროვნე საზოგადოების მოთხოვნა რომელ პრესაზე? ყვეთელი პრესა ანადგურებს ერის სულს და დეგრადაციის ახადგვარებისა და სიბილწის გზაზე აყენებს ახალ თაობას. სწორედ ამიტომაც აქვს ყვეთელ პრესას გამორჩეული მხარდაჭერა მესამე ძალისგან. შორს რომ არ წავიდეთ, განა არ ვიცით, თავის დროზე რატომ გაქრა ჯერ გაზეთი „ცისკარი“ და შემდეგ ჩვენს მიერ დაფუძნებული - საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „მთიანეთი“? სიყვირთვით ვითუცხოვებ და იმიტომ. ერის უღმერთობისა და ურწმუნოების გზაზე დაყენების კოდი საზოგადოების გონში რომ შევიდეს და დაბლოკოს საღი ცნობიერება, ამას ყველაზე უკეთ მასმედია აკეთებს, თუმცა მასმედია სხვა რამეც გამოსდის შესანიშნავად: - საბოლოოდ გააშიშვლოს იმ ძალით თუ ნებით გაყვითლებულთა სული, რომლებიც სააქაო სიამტკბილობის სანაცვლოდ, სატანას მიეყვინდნენ და ხელმოკლედ მოიწადინეს, ჯვარს აცვან ღმერთი, მარტო მართლმადიდებლობის კი არა, საერთოდ, უფლის რაობის გონიდან ამოძირკვის სახით.

- თუნდაც იდგის დონეზე, რამე ჩუმი ჩანაფიქრი ხომ არ გაქვთ?

- საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, საქართველოს პოეტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრობა, საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და ისრაელის სსფ „გულთა კავშირის“ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეობა დიდი პასუხისმგებლობა და პატივია ჩემთვის. ძალიან ბევრი სიკეთის კოლეგის პერსპექტივა გამოჩნდა. შევეცდები, რომ რეალიები მარტო ფურცელზე არ დარჩეს. გასაფხულიდან ბევრ საინტერესო საქველმოქმედო ღონისძიებას განვახორციელებთ მთიანეთში და რა თქმა უნდა, შუახევიც. რაც შეეხება გამოცემას, ჩვენ გვაქვს უკვე გაზეთი „შუახევი“, რომლის გაძლიერებაზე ზრუნვა გვმართებს.

- ორი ვაჟის მამისა და მოსიყვარულე ბაბუის შემოქმედებაში რა ადგილს იჭერს ოჯახი? საიუბილეო საღამოზე მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსი რა ვითარებაში დაიწერა?

- უკიდურესად შესარიგებელ ვითარებაში. ხშირად ვაბრალებ მეუღლეს ჩემი მოულოდნელობებით, ჭირვეულობით, სიურპრიზებით და მერე ლექსებით თუ ვისხნი თავს, თორემ... მეუღლე ქედელი მყავს და მათთვის წყალი ყოველთვის ადმა მიდის. როგორც კი ეს დამავიწყდება, ლექსია უკვე დასაწერი.

- 2024-მა წელმა შემოაბიჯა. რას უსურვებდით მკითხველს და საერთოდ, ყველას?

- უფალს ვებარებოდეთ, უფალი გვფარავდეს, უფალი გვეცხვარებოდეს! ის თუ არ გავწირავს, კიდევ ათასწლეულობით გაგრძელდება ჩვენი არსებობაც და სახელმწიფოებრიობაც. ღმერთი ჩვენთან! ამაზე კარგი, სხვა რა ვისურვებ?

|| მე გავლექსე ფსალმუნები - „ბიბლიიდან“ და ამასთან ერთად ვლექსავ „ყურანსაც“ და იგაგებსაც - „თორადას“, რომელსაც იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ებრაელი ქალბატონი, პროფესორი ნატალი მეგრელიშვილი თარგმნის ჩემთვის, რწმენით კი მართლმადიდებელი ვარ... დედას არასდროს უკადრებია ჩვენთვის, შეიღებისთვის, რომ იმ აღმსარებლობის მიმდევარი ვყოფილიყავით, რომელიც მას სწამდა. ის ჩვენ ღმერთის სიყვარულსა და ერთგულებას გვინერგავდა ყოველთვის

უკითხავთ ჩემთვის, სასიგნალო ეგზემპლარი გამოგიზავნეს - წაიკითხე „მინიც“ და სათაური შეუტრიალო. არ ვიცი, იმ პირველმა წიგნმა გაამართლა თუ არა შერჩეული სათაურით, მაგრამ კმაყოფილი და გახარებული იმით მაინც ვარ, რომ მასში შევიდა - „ორი ფრიდონი ტაო-კლარჯეთში“. ხმამაღალ განცხადებად თუ არ ჩამეთვლება, ამ წიგნში შეტანილი ეს „ციკლი“ გამორჩეულია. „უფლის საგალობელი“ ათწლეულების განმავლობაში მკვიდრდებოდა ჩემს ცნობიერებაში, თუმცა მზის სინათლე ერთ თვეში იხილა - 150 ფსალმუნის თავისი „ანბანთ ქებით“ ზუსტად 30 დღეში გადავიტანე ფურცლებზე.

ვერც წარმომედგინა, დღეში ხუთი-ექვსი ფსალმუნის გალექსვა. არა და, მოდის ეს დალოცვილი ანკარა წყაროსავით, ჩუხჩუხებს გონში, გულში, სისხლში და გთხოვს რომ ადგილი მიუჩინო. მეც „მივინებდი“.

- ამ წიგნმა ხომ არ გიკარნახათ, რომ 60 წელს მიღწეული, წინაპრების ძირძველ მრწამსს - მართლმადიდებლობას ზიარებოდით?

- უფალმა მიკარნახა... უფლის რაობის გაზრებამ დამაყენა ამ გზაზე და მადლობა უზენაესს, რომ საკუთარი თავი დამარწმუნებინა ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში. მე ყველა რელიგიის მიმდევარს (თუ ის მართლაცდა ღმერთზე მიყუდებული) გამორჩეულად ვცემ პატივს და არ დამზარებია მათთვის სიყვარულის განაწილება. დედამიწაზე აშენებულია ტაძარი-სამლოცველო, რომელსაც იმდენი შესასვლელი კარი აქვს, რამდენი რელიგიური მიმდინარეობაც არსებობს ამქვეყნად. საკურთხეველი არის ერთი, ყველა მისი კარით მიდის უფალთან და იქ, ერთ საკურთხეველთან თავდახრილი და მუხლომდრეკილი უმჟღავნებს და ანდობს სავედრებელს. ღმერთი ერთია, მისკენ სავალი გზაა სხვადასხვა!. რაც შეეხება ჩემს გადადგმულ ნაბიჯს, ჩემი ნათლის - დავით ცეცხლაძის თქმისა არ იყოს - სულით რომ ქრისტიანი ხარ, ბარემ დააკა-

ორიას, მე იმ საღამოსვე ლექსად ვწერდი მის ნაამბობს. ასე შეიქმნა ეს ციკლი. დიდმა ფრიდონმა როგორც კი წაიკითხა ჩემი „ტაო-კლარჯული ნაცოდვილო“, ვაჟას უთხრა - ტყუილად არ წამოგიყვანია ეს კაცი. რაც შეეხება კითხვას, თუ რა ადგილი დაიჭირა ჩემს შემოქმედებაში ამ მოგზაურობამ, ვა ვთქვა, აბა? - სამშობლო ხელმეორედ ამოვიკითხე ჩემს ცნობიერებაში...


- დედის ძმა ვახტანგ ზოიძე ცნობილი პუბლიცისტი, 10-ზე მეტი წიგნის ავტორი იყო, მამა - ვლადიმერ (ალი) დავითაძე - ცნობილი პედაგოგი, ერთ-ერთი პირველი უმაღლეს-დაზოგადებული შუახევის რაიონში. ვის გენს უმაღლით მუხასთან ზიარებას?

- მუხასთან წილნაყარობას უფალს ვუმაღლი, პუბლიცისტიკაში „ფაჩუნს“ - ვახტანგ ზოიძეს, ხოლო საზოგადოების მხრიდან სიყვარულის მოპოვებას და ჩემი ადგილის მონახვას - მამას. მათგან მრავალი რამ ვისწავლე.

- დედა, ქალბატონი ფატი, როგორც ღვთისმოსავი და კეთილშობილი ქალბატონი ახსოვს ხალხს. მისი გავლენაც ხომ არ იყო, რომ 60 წლამდე მართლმადიდებლობას არ ეზიარებ?

- ერთადერთი ადამიანი, რომლის ვალის გადახდა „არც მიფიქრია“ (შეუძლებელია და იმიტომ), ეს დედაჩემია! 20 წელიწადი ბრმა იყო დედა. ოცი წელიწადი თითებით მიმოწმებდა ასაკს... ის მუსლიმანი იყო და ისე შეუერთდა მარადისობას, რომ ალაჰის რწმენისთვის არ უღალატა... მუსლიმანები იყვნენ ბაბუაჩემიც, ბებიაჩემიც... ჩემს ოჯახში სამი რელიგიის წმინდა წიგნები დევს და სამივეს საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი: „ყურანი“ - დედაჩემის რწმენის დასტური; „ბიბლია“ - უფლის რაობის მსახურებელი ჩემთვის და „თორა“ - სიბრძნის სიმფონია - კაცობრიობისა! მე გავლექსე ფსალმუნები - „ბიბლიიდან“ და ამასთან ერთად ვლექსავ „ყურანსაც“ და იგაგებსაც - „თორადას“, რომელსაც იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ებრაელი ქალბატონი,

და ეს მთელმა აჭარამ იცის. ლევან მჭავანაძე - „ამოუცნობი სუბიექტი“! დედამიწაზე არ დადის ადამიანი, რომელიც სრულყოფილად დაახასიათებს მის პიროვნებას. კაცი, რომელიც უკიდურესად გაუსაძლისი ცხოვრებიდან მოდის. უღმერთად და ურწმუნოდ ერთი წუთიც არ უტყობია, რადგან უფალმა ინება მისი ყოფის შემობრუნება... მოკრძალებული მადლობის ნიშნად, მშობლიურ სოფელ ზვარეში სამლოცველო აუგო მართლმადიდებლ-



ობას, უფალს, რომ სამყაროს პატრონის არსი „დაუჭდომლად“ გაიფიქრეს მოკვდავთა გონებაში. ლევანი იმდენად უბრალოა, იმდენად კეთილშობილია, იმდენად დიდი, რომ არ შეიძლება ის არ გიყვარდეს ქრისტესმეორის სიყ-

ქალებს კარგი თამაღობა შეუძლიათ

თამარ ლამაზაძე 595 85 80 06

თამაღის ინსტიტუტი ნამდვილად ქართული ტრადიციაა. თავიდანვე მასპინძელი ან თანამშრომელი თამაღად ირჩევენ ქარმაღ და პატივსაცემ მამაკაცს, რომელიც სუფრის ადათ-წესების მცოდნედ და მჭევრმეტყველად ითვლებოდა, თუმცა, ალბათ, ადრეც და დღეს - მით უმეტეს, ქალსაც შეუძლია თამაღობა

დღეს არაერთი ქალბატონის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს თანამშრომლების ხელში აუვანა შეუძლიათ, ანუ თამაღობა მშვენივრად გამოხდით, დიდებულად უძღვებიან სუფრას, მეტიც, ქალბატონებს თამაღად მამაკაცებიც ნიშნავენ. მართალია, ეს იშვიათ შემთხვევაში ხდება, მაგრამ ქალი თამაღა საზოგადოებაში ყოველთვის დიდ აღფრთოვანებას იწვევს. დღეს სწორედ ასეთ ქალ თამაღზე უნდა გიამბოთ. შორენა ძიძუაძე ბათუმში ცხოვრობს და მას ხშირად უწევს თამაღობა ლხინის სუფრებზე. არა მარტო ბათუმში, არამედ იმერეთსა და თბილისშიც ხშირად იწვევენ ამ მიზნით.

ჩვენს ქვეყანაში არსებობს შეხედულება, რომ თამაღა მამაკაცი უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, თქვენ ეს სტერეოტიპი დაამსხვრიეთ.

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით გზით „აჭარას“, რომ დღეს თქვენი სტუმარი ვარ. დიან, ჩვენს ქვეყანაში არსებობს შეხედულება, რომ სუფრის წინამძღოლი მამაკაცი უნდა იყოს და ეს მართალიცაა, მაგრამ ხომ შეიძლება თამაღა ქალბატონიც იყოს? წლების განმავლობაში ჩემს სახლობლო და სამეგობრო წრეში ვთამაღობდი, შემდეგ პატივი მერგო, დიდ წვეულებებსა და ქორწილებშიც



ად ლექსების წარმოთქმა, კარგად უნდა იცოდეს საკუთარი ქვეყნის ისტორია და, რაც მთავარია, უნდა ჰქონდეს თუმორის გრძობა, რომელიც აუცილებელია სუფრის გასამზიარებლად და გასამრავალფეროვნებლად. ვიზუალურ მხარესაც ექვევა ყურადღება - ჩაცმას, მანერებს და ასე შემდეგ. კარგ თამაღს სიამოვნებით უნდა უსმენდნენ და ის არ უნდა იყოს მოსაბუზრებელი სუფრის წევრებისათვის.

ანების სადღეგრძელო, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ცხოვრებას უყურებენ და სხვას არ განიკითხავენ. ეს სადღეგრძელო შეგქმენი ჩემი უსაყვარლესი ბაბუის ლექსის შთავონებით, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ. „წლებს სიჭაბუკის გაჰყვა სიმღერა, ვინც ძლიერ გიყვარს, იგი დაგმარხავს, ღმერთო, მომეცი ნიჭი იმხელა, ჩემი ცოდვების შეგძლო დანახვა. წლებმა ქარივით გადაიმღერა,

სუფრასთან გრძელი სადღეგრძელოები ნამდვილად მოსაწყენია. სადღეგრძელო უნდა შემოიფარგლებოდეს 3-4 წუთით. თუ თამაღა ლექსს წაიკითხავს ან სასაცილო ამბავს მოყვება, შეიძლება სიტყვა 7-8 წუთი გაგრძელდეს, მაგრამ ამაზე მეტი ხანი უკვე საზოგადოებისთვის მოსაბუზრებელია. მე მოკლედ ნათქვამ გრძელ სიტყვას ვანიჭებ უპირატესობას

ვყოფილიყავი თამაღა. ერთი თვის წინ ჩემი მეგობრის ოჯახში ვიყავი საზეიმო სუფრაზე, სადაც მამაკაცები ჰარობდნენ, მაგრამ მე მთხოვეს მეთამაღა და, რასაკვირველია, მშვენივრად გავართვი თავი. ქართული სუფრა ჩემთვის ნამდვილი აკადემიაა და მიმარჩნია, რომ ქალებს კარგი თამაღობა შეგვიძლია. ჩვენს ქვეყანას ჰყავდა ცნობილი თამაღები, რომლებიც არაჩვეულებრივად უძღვებოდნენ სუფრას და შეეძლოთ თანამშრომლების გაოცება. მათ შორის იყვნენ სოფიკო ჭიაურელი, ნატო ვარნაძე, მედიკო მეზურისი... მიხარია, რომ მეც ერთგვარად მათ ტრადიციას ვაგრძელებ.

რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს კარგი თამაღა?

მინდა გითხრათ, რომ თამაღობა განსაკუთრებული ნიჭია, რომელიც გამოირჩეული ადამიანებს აქვთ მიმადლებული. ეს ძალიან საპასუხისმგებლო პროფესიაა. უამთა მსგელობამ კორექტივები შეიტანა თამაღობის ინსტიტუტშიც. კარგი თამაღა ერთდროულად ყველა სფეროში უნდა იყოს განათლებული, უნდა შეიძლოს ცეკვა, სიმღერა, მხატვრულ-

ალბათ, საყვარელი სადღეგრძელოც გაქვთ...

რამდენიმე სადღეგრძელო მიყვარს, განსაკუთრებით - საქართველოსი და ყოველთვის ამაყად ვამბობ, რომ ქართველი ვარ. თავდახრილი არასდროს უნდა ვიყოთ ჩვენი წარმომავლობით, ჭიშითა და გენით, რადგან უძველესი ცივილიზაციის ერი ვართ. დღეს, სამწუხაროდ, ბევრი ემიგრანტი გვყავს, მაგრამ ქართველი რომელ ქვეყანაშიც უნდა ჩავიდეს, ერთ ბრძნულ სიტყვას მილიონ ადამიანში მაინც იტყვის. ასევე, ძალიან მიყვარს მეგობრების სადღეგრძელო, რადგან მეგობრების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოიდგენია. ჩემთვის გამოირჩეულია სიყვარულის სადღეგრძელოც. ერთი წუთი არ შემძლია უსიყვარულოდ ცხოვრება. ყოველ დღით სამყაროს ვეუბნები, რომ მიყვარს და, შესაბამისად, სამყაროც ისიც მიბრუნებს ამ უპირობო სიყვარულს.

თუ გაქვთ პერსონალური სადღეგრძელო?

დიან, მაქვს, რომელიც თავად შეგქმენი. ეს არის უბოროტო და დიდსულოვანი ადამი-

ბევრი სურვილი სულში ჩამახმა, ღმერთო, მომმადლე ნიჭი იმხელა, საკუთარ თავის შეგძლო დანახვა.

რა უნდა გააკეთოს თამაღამ, სუფრა ღრობად რომ არ გადაიქცეს?

პირველ რიგში, თამაღა უნდა იყოს საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანი, ასევე, განათლებული და ენაწყლიანი. იგი აუცილებლად უნდა იყოს მომთმენი და შეეძლოს სუფრის ორგანიზება, საინტერესოდ საუბარი. მთავარია, თამაღა სწორად შეირჩეს. მან აუცილებლად უნდა მისცეს თანამშრომლებს სადღეგრძელოს თქმის საშუალება და მხოლოდ თავად არ უნდა ისაუბროს. აუცილებელია თავის დროზე ცეკვაც, სიმღერაც და იუმორისტული ნომრებიც. თუ სუფრას ასეთი თამაღა ეყოლება, დამერწმუნეთ, ღრეობად არასდროს გადაიქცევა.

მხოლოდ აჭარაში თამაღობ?

აჭარის გარდა, ვთამაღობ იმერეთში და, ასევე, თბილისშიც ბევრჯერ მითამაღია ლხინის სუფრაზე. სუფრას ყოველთვის უფლის სადიდებლით ვიწყებ, რადგან უფალი უმთავრესია და მისი წყალობის გარეშე ცხოვრებ-

ბაში არაფერი გამოგვივა. ამ სადღეგრძელოს შემდეგ ვამბობ ლექსს, რომელიც გამორჩეულად მიყვარს.

„მინდა, რომ შეგსვა სასმისი ერთი, როგორც ყოველთვის, ვახსენო ღმერთი. ის ხომ ერთია, ამ ქვეყნად ერთი, მუდამ გფარავდეთ მაღალი ღმერთი. ეს ბილიები საით წავიყვანს? სალოცავისკენ ნეტავ მიგვიყვანს? თუ გულით გვწამს და გონებაც ილტვის, ყველა ბილიკი, უფლისკენ მიდის. კვლავ ვადღეგრძელოთ სალოცავები, სულ გვიფარავდეს ჩვენ წმინდანები, დიდება სამშობლოს, დიდება გენს, დიდება ქართველებს და მაღალ ღმერთს!“

ახალგაზრდობის ნაწილს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ქართული ტრადიციული სუფრის მიმართ. უქმნის თუ არა საფრთხეს მომავალში თამაღობის ტრადიციის შენარჩუნებას?

ახალგაზრდობის ნაწილს მართლაც სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს ქართული სადღეგრძელოებისა და თამაღის მიმართ, მაგრამ არიან ნამდვილ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, რომლებიც მას არ ღალატობენ. ჩემი დიდი სურვილია, რომ სუფრის და თამაღობის ტრადიცია გაგრძელდეს სამარადეოდ. ჩვენ ისეთი ღირსეული ქვეყნის შეილება ვართ, სხვაგვარად არც გვკადრება. ვფიქრობ, ჭანსალი თაობა, კარგი ახალგაზრდები, რომლებსაც უყვართ სამშობლო, წინაპრების ტრადიციას არ დაივიწყებენ და გააგრძელებენ კიდევ.

ბევრ თამაღს უყვარს გრძელი სადღეგრძელოები, რაც ზოგჯერ სუფრის წევრებისთვის დამღლელია. თქვენ თამაღობის როგორი სტილი გაქვთ?

სუფრასთან გრძელი სადღეგრძელოები ნამდვილად მოსაწყენია. სადღეგრძელო უნდა შემოიფარგლებოდეს 3-4 წუთით. თუ თამაღა ლექსს წაიკითხავს ან სასაცილო ამბავს მოყვება, შეიძლება სიტყვა 7-8 წუთი გაგრძელდეს, მაგრამ ამაზე მეტი ხანი უკვე საზოგადოებისთვის მოსაბუზრებელია. მე მოკლედ ნათქვამ გრძელ სიტყვას ვანიჭებ უპირატესობას.

ქართული ტრადიციული სადღეგრძელოების ნუსხას რომელ სადღეგრძელოს დამატებდით?

დავამატებდი ხელოვნების სადღეგრძელოს. ქართველები, ზოგადად, ხელოვანი ადამიანები ვართ და საკუთარი საქმის პროფესიონალები. უამრავი გენიოსი აღზარდა ჩვენმა ქვეყანამ, რომლებიც მსოფლიომ აღიარა. ვფიქრობ, მათი სადღეგრძელო აუცილებლად უნდა შეისვას ქართულ სუფრაზე.

დაბოლოს, თქვენებურად დალოცეთ ჩვენი მკითხველი.

ჩემი ქართველებო, გილოცავთ ახალ წელს! ეს წელი ყოფილიყოს ჩვენს ქვეყანაში ბედნიერების, სიყვარულის, ზეგვის, ბარაქის, დოვლათისა და სიხარულის წელი და თითოეული თქვენგანისთვის დადებითი დღეების მომტანი. გაზეთ „აჭარას“ და მის მკითხველს ვუსურვებ წარმატებებსა და წინსვლას. ასევე, გისურვებთ ბევრ საინტერესო რესპონდენტს! იხარეთ და იმრავლეთ!

„სასინარულთა, როსა აღამიანები ერთმანეთს ბედნიერებას სარუქრის სახით უზიარებენ“

მე-5 გვერდიდან

დიან, არავინ იცის, ჩემი უახლოესი ადამიანებისა და ოჯახის წევრების გარდა. ხანდახან, თავისუფალ დროს ჩემთვის ჩანახატებს ვაკეთებ. სერიოზულ ნახატებზე, რა თქმა უნდა, არ მაქვს პრეტენზია და არც არასოდეს მქონია, ამით ვისვენებ. სამხატვრო სკოლა დავამთავრე და რაღაც გამოიმევა იქიდან. ხაზვაც მიყვარდა ყოველთვის. ცეკვაზეც დავდიოდი, მაგრამ საქორწილო ცეკვაც კი არ ვიცი. (იცინის). სხვათა შორის, ჩემს ბავშვებს ვეხმარები ხოლმე, სკოლაში დავალბებ თუ აქვთ ხატვაში. ერთხელ, საკმაოდ რთული დავალბე შეგუსრულე და რვიანი მიიღო. შეიღმა მითხრა, - მასწავლებელმა შემოგიფარა, უკეთესად მომზადდოს.

საბალწლო კურორტი თუ გასვლი?

რუსული ფილმი „ბედის ირონია“ ვინც იცის, დაახლოებით იგივე სიტუაცია შემქმნა. სტუდენტი ვიყავი, მეგობრებთან ერთად ისე ვავივრთე, აღარაფერი მასსოვდა. ბინის მისამართი არ ამრეგია, მაგრამ სახლში მესამე დღეს გავიღვიძე. იმ დროს კურორტად არ აღვიქვი ეს ამაბავი, მაგრამ შემდეგ ხალისით ვიხსენებდი.

რის წელში ხართ დაბადებული და ემთხვევა თუ არა ზოგადი დახასიათება თქვენს ხასიათს და თვისებებს?

გველის წელში ვარ დაბადებული, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ყურადღებას არ ვაქცევ ასეთ რამეებს. თვის ზოდიაქოს მიხედვით კურო ვარ და აქ უფრო ემთხვევა რაღ-

აც. ზოგადად, კოსმიური, ასტროლოგიური მიმართულებით რაღაც გავლენები არსებობს, თუმცა, არ მგონია, გველის წელში დაიბადე თუ დრაკონის, ამას რამე მნიშვნელობა ჰქონდეს.

31 დეკემბერს, საათმა 12-ჯერ რომ დაჩივას, რა ჩაიფიქრებ?

პირველ რიგში, მშვიდობა ჩავიფიქრე. ბოლო პერიოდში ომიც ვნახეთ და კოვიდპანდემიის კატასტროფული შედეგებიც... ჩვენც გეოპოლიტიკურად ისეთ ტერიტორიაზე ვიმყოფებით, რომ ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შესაძლოა ძალიან ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანოს. უფლის წყალობით, შევძელით, ამ სიტუაციაში ლავირება სწორად მოგვხდინა, ომიც თავიდან აგვეცილებინა და, გარკვეულწილად, ის კონფლიქტებიც, რომლებიც შესაძ-

ლოა გეოპოლიტიკურად შეგვხებოდა. მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მშვიდობა და ჭანმრთელობაა.

რას უსურვებთ ჩვენს მკითხველს?

უსურვებთ, რომ 2024 წელი იყოს გამორჩეული ყველა ჩვენგანისათვის, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის, მთელი მსოფლიოსათვის. ეს წელი ყოფილიყოს გარდამტეხი უკეთესობისკენ, სიმედობისკენ, ახალი გამოგონებებისკენ, ინოვაციებისკენ. მოგეხსენებათ, ფილტვების ანთებაც კი არ იკურნებოდა, სანამ პენიცილინი არ გამოიგონეს. დარწმუნებული ვარ, 2024 მედიცინაში ახალი აღმოჩენების წელი იქნება და ის ადამიანები, რომლებიც ელოდებიან გადაარჩე-

ნელ წამალს, მართლაც, იპოვიან მათ აფთიაქების დასლებზე. ვისურვებთ, რომ სამყაროს აღარ ეფიქროს ომზე. ეფიქროს აღმშენებლობაზე, ურთიერთგაგებაზე, ურთიერთსიყვარულზე... ჩვენი ძირითადი მიზანია, რაც კონსტიტუციაშიც გვაქვს რატო ფიციკრებული, ეს არის ევროკავშირში გაწევრიანება და ჩვენს დიდი ნაბიჯი უკვე გადავდგით. შეიძლება 2024 წელში ევროკავშირის წევრი ვერ გავხდეთ, მაგრამ მთელ ევროპას ელარებინოს, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის ღირსია. მომავალში კი ვაგმზადრეგავით ამ ორგანიზაციის წევრები იმ ტრადიციების, სიმბოლოების და ღირებულებების დაცვით, რომლებიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.



პოეტი ქალი - ჯარში

ახალ წელს ლაქსების ახალი კრებულით შეხვდა

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

პოეტი ნანა შანიძე 2024 წელს ლექსების ახალი კრებულით შეხვდა. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.

- ქალბატონო ნანა, იქნებ თქვენი ახალი წიგნის შესახებ გავითხროთ მკითხველებს სრული ინფორმაცია მიაწოდოთ...

- პირველ რიგში, მოგესალმებით, მოგილოცავთ შობა-ახალ წელს და მადლობას გეტყვით ინტერვიუსთვის. რაც შეეხება წიგნს, აჭარის მწერალთა სახლის პროექტის ფარგლებში გამოიცა, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას გადავუხდით მათ ამ საშვილო-შვილო საქმისთვის. წიგნში, რომელსაც „რიგითი“ დავარქვით, არა მხოლოდ ლექსები, პროზაული ნაწარმოებებია შეტანილი. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთ სასიამოვნო ინფორმაციას გავახიანებ - პირველად აჭარის ისტორიაში, აჭარის მწერალთა სახლის ინიციატივით, გამოიცა აჭარაში მოღვაწე შემოქმედით ქალბატონების ანთოლოგია - „ავტოგრაფი“, რომელშიც თქვენი მონა-მორჩილის რამდენიმე ნაწარმოებია შესული. ჩემთვის უდიდესი პატივია ისეთ ქალბატონთა რიგებში ყოფნა, როგორც სულმნათი ნანა გვარამია გავხლდათ... ეს იდეა ჩვენს შრომისმომყვარე და შემოქმედ მინისტრს, ქალბატონ მაია ხაჯიშვილს ეკუთვნის, რისთვისაც მადლობა მას და აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს, ქალბატონ თინა ზოიძეს. მაქვს კიდევ ერთი სიახლე - ჩემი „არეულების“, ძველის და ახლის, გაერთიანებული ვერსია გამოვიდა, რომელსაც ჩემს ერთგულ მკითხველს სხვა წიგნებთან ერთად წარვუდგენ.

- მრავალ პროექტსა და პროგრამაში მონაწილეობით. მათგან უმთავრესს თუ დაასახელებთ?

- ჩემთვის ყოველი საქმე მნიშვნელოვანია, თუმცა მაინც გამოვარჩევ ჩემ მიერ დაარსებულ პროექტებს: „პეგასი“ და „ამადარა“.

- ქართულ ჯარში რეზერვისტად წასვლა რა გარემოებამ გიკარნახათ?

- ქართულმა ყინმა, სისხლმა, ხასიათმა, დაუდგრომლობამ... საკუთარ თავს გამოცდა მოვუწვევ, მანტერესებდა, თუ შევძლებდი ჯარისკაცის მუნდირის ღირსეულად ტარებას. არ ვნანობ. იქ იმდენი რამ ვისწავლე, იმდენი საიმედო მეგობარი და თანამდგომი შევიძინე, ღირდა ამაღ... ეროვნული გვარდის ჯარისკაცობა ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა.

- ხულოს მასშტაბით გამართული საჯარო ღონისძიებების წამყვანი ხართ. ესეც კარგი საშუალებაა ადამიანებთან ურთიერთობისთვის. კურორტებიც გქვინება გასასხენებელი...

- რამდენიც გნებავთ... მახსოვს, ოცდაე-



ქვის მასის ღონისძიებას ვამზადებდი, განსხვავებულად და გრანდიოზულად მინდოდა - გარეთ გადავწყვიტე პირველი ნაწილის ჩვენება და რას ვხედავ - იმ ადგილზე, რომელიც სცენად უნდა გამოემყვინებინა, უზარმაზარი ტრაილერი იდგა. ვერაფრით გავარკვიეთ, ვისი იყო, რომ მძღოლს გაეყვანა. რა თქმა უნდა, ჩავარდა იქ საჩვენებელი ნომერი და დარბაზში გადავინაცვლე. მაშინ ბევრი ვინერვიულე, ახლა იუმორით ვიხსენებ.

- რა კვალს ტოვებს ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი ხართ?

- ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ დიდი თავის ტკივილი და ასევე, უზარმაზარი სიამაყე ჩემთვის. იმედიანად ვარ, რადგან რეგიონის ყველა მუნდირაბლიტიტი მხარს მიჭერს, რისთვისაც მადლობა მათ მერებს და ყველა კომპეტენტურ პირს. მყავს კერძო შემოქმედებები, კომპანიები... ერთ-ერთი მსხვილი ფინანსური მხარდაჭერი გახლავთ შპს „ჭარისწავალი ჯორჯია“. პროექტის მთავარი მხარდაჭერი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროა, რა თქმა უნდა, მყავს განუყოფელი და საიმედო დასაყრდენი თანაორგანიზატორი რამაზ ხმალაძე. ჩვენ წელს ხუთი წლის გავხდით. „პეგასი“ კვლი ფრად თვალშისაცემია, მასშტაბებიდან, ხარისხიდან, ასევე, მონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

- საქმე, რომელიც დიდი ენთუზიაზმით წამოიწყო და... სანანებელი გავხდით?

- ერთ-ერთ ორგანიზაციაში ჩამოვყალიბეთ თეატრალური დასი, რომელიც ჩემი სულის ნაწილი გახდა. ისე მოხდა, რომ ბოლოს სა-

ნანებელი გამიხდა იქ მისვლა. მთავარი ის იყო, რომ ჩემი საქმისთვის იმ მოცემულ ვადაში მაქსიმალურად დავიხარჯე და ბავშვებს თავიც შევავარე. დღემდე გვაქვს თბილი ურთიერთობა.

- მეგობრის ლალატს როგორ ეგუებით? - მკლავს!
- მოლაღატესა და ორგულს თუ სჯით? - მისთვის ისიც კმარა სასჯელად, მოლაღატე რომაა.

- გურიაში ვაზრდილს, წყველა თუ გეხეჩებთ? გურულ-აჭარული ფოლკლორი რამდენად წარმოჩნდება თქვენს პოეზიაში?

- წყველა მხოლოდ იუმორით ვიცი (გურულა)... ჩემს შემოქმედებაში, რა თქმა უნდა, ორივე კუთხის ხასიათი იგრძნობა. აჭარაში დავიბადე, ოჯახი საცხოვრებლად გურიაში გადავიდა. ოჯახი ადრეულ ასაკში შევქმენი. ახლა ისევ აჭარაში დავბრუნდი. ორივე კუთხის ფოლკლორს ვიყენებ შემოქმედებაში, მაგრამ წყველა-კრულვისგან ღმერთმა დავვიფაროს...

- კეთილ და მეგობრულ ხასიათს ზოგჯერ მრისხანებასაც მოაყოლებთ ხოლმე. სხვზე ხელის აღმართვის მცდელობა რამდენად მისაღებია თქვენთვის და ასეთი შემთხვევა თუ გქონიათ?

- სამწუხაროდ, მქონდა ასეთ შემთხვევა წლების წინ, როცა ერთი ადამიანი ჩემს ყველაზე წმინდა საფიცარს - შვილებს შეეხო. ძულმს გვავდი მაშინ მრისხანებისგან. გადამირჩა... სასტიკად მიუღებელია ჩემთვის ძალისმიერი მეთოდით ბრძოლა. ახლა რომ მახსენდება ის შემთხვევა, ძალიან მეთაკილება, ვერ ვხატობ თავს - ნერვები უნდა მომეთოკა.

- ახლობელთაგან ყველაზე დიდ იმედად ვინ გეგულებათ?

- რთულია ამდენ დედამიშვილსა და მათ შვილებში რომელიმეს გამოჩრევა, მაგრამ მაინც ჩემი შვილების იმედად ვარ და კიდევ უმთავრესის - უფლის.

- ახალგაზრდა ბებია ხართ... ნაადრევ ქორწინებაზე, როგორც პოეტს, რა მოსაზრება გქვით?

- არამც და არამც არ მივესალმები ნაადრევ ქორწინებას, თუმცა ახლავს ერთი დადებითი მხარეც - უკვე ორი თვალგომერას ბებია ვარ; ბუთი წლის ემილი და ორი წლის სესილი შევანიძებების. ჩემი დაწესებულებული სულის წამლები არიან ჩემი ბადიშები.

- ღირსეული თანამეცხედრის დაკარგვამ მოუშუშებელი იარა დაგიტოვათ. რამდენად გჯერათ ერთხელ ბოძებული სიყვარულის?

- მჯერა!... ის არ ჰგავს სხვა გატაცებას, სხვა ფიქრებს... ეს სხვა „ავადმყოფობა“ა, რომელსაც განკურნება არ უწერია. ის არავისში მეორდება და ვინც ასეთ სიყვარულს ეზიარება ამქვეყნად, ჩათვალოს, რომ ღმერთმა უდიდესი მადლი გაიღო მასზე. ჩემს შემთხვევა-



შიც ასე იყო და მადლობელი ვარ უფლის ამ სიყვარულისთვის.

- ტკივილის დასაძლევად რაა მთავარი?

- პრობლემისთვის თვალის გასწორება, შენში ძალა უნდა იბოვო, რომ არ ჩამოშალო და ყველაფერი ღირსეულად ატარო, მათ შორის ტკივილიც.

- რას ნიშნავს თქვენთვის, როგორც პოეტისთვის, მთის შვილად ყოფნა?

- უზარმაზარ პასუხისმგებლობას... სიამაყესაც. ასე მგონია, ხიხინის მთები შემზრდია სხეულზე და მისი ყოველი გოჯი ფეტიქას მჩქეფარე სისხლივით ვენებში. ჩემი ხეობა, რაიონი, სოფელი ერთგვარი სალოცავია ჩემთვის, რომელსაც სიფაქიზით და მოწიწებით ვეპყრობი.

„ჩემი სალოცავი ცა მაქვს, ჩემი ხიხინი და ტბელი“.

მიყვარს მთის ხისტი, შეუვალი და ამავედროულად, განსაკუთრებულად თბილი და მოკრძალებული ხასიათი. მიყვარს მთა თავისი ადათ-წესებით, ტრადიციებით, გულუხვობით, სტუმარმასპინძლობით, სისპეტაკით და უანგარო ურთიერთობებით. ჩემი სულიც კი აჭარის მთიანეთს ეკუთვნის, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა - იქ ხომ ჩემი ბავშვობა ცხოვრობს და როგორ შეიძლება, არ მიყვარდეს, არ გავუფრთხილდე. არ არსებობს ერთი შემთხვევაც კი, სადაც საკუთარი თავის წარდგენა მიხდება, იქ საუბარი ჩემი ფესვებით არ დავიწყო, იმდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის მთის შვილობა.

- თქვენი საახალწლო სურვილები...

- ყველაზე სანუკვარი: სამშობლო მიწა დამილოცე, უფალო! გამოთიანება, მშვიდობა და ერთმანეთის სიყვარული გგქონდეს, რაც, სამწუხაროდ, დღეს დეფიციტური გახდა.

როგორი მწერალი სჭირდება დღეს მსოფლიოს?

ლაშა ხოშიაძე 593 50 82 69

ჩვენი თანაქალაქელი, ახალგაზრდა კალმოსანი ბიორბი ტურქული ახალ წელს მნიშვნელოვანი შემოქმედებით წარმატებით ხვდება. 2023 წელს არაერთ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნდა მისი ლექსები, რომანი „იორინოსი“, ახლანა კი თბილისში გამოცემლობა „ინტელექტმა“ სწორედ საახალწლოდ აუნთო მწვანე შუქი მის რომანს „კოლხეთის ბოლო ნაშეიანი“, რომელიც მწერლის ოცწლიანი ნაფიქრალის მხატვრული განხეულდება.

ახალი წლის დადგომა მუდამ ახარება გიორგის, ამჯერად, მით უმეტეს - 2024 წელს ახალი წიგნით ხელდამშვენებული ხვდება. დღეს მას საინტერესო საკითხებზე ვესაუბრებით.

- ამ დღეებში ახალი წლის დადგომას ვდღესასწაულობთ, როგორია თქვენი განწყობა?

- ახალი წელი ერთადერთი დღესასწაულია, რომელიც მახარებს. ამ დღეს კაცობრიობა ლაღობს, რაც დადებითად მმუხტავს.

- 2023 წელი როგორი იყო თქვენთვის? რას გამოარჩევთ, რამ განგიმტკიცათ რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა?

- იმისთვის, რომ მწერლობაში თვითრწმენა გამოიმუშავო, მსოფლიო სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას უნდა იცნობდე, თუმცა წიგნიერება შემოქმედებით ნიჭს ვერ შეგძენს. მე შემეძლია ნათურას ვუყურო და მასზე ლექსი ან რომანი დავწერო. ჰო, ამ ორ-

ას-სამასგვერდიან რომანს, უბრალოდ, „ნათურა“ ერქმევა და ის იქნება ღრმად ფილოსოფიური. 2023 წელი ჩემთვის ბრწყინვალე იყო, თუმცა არა იმდენად ბრწყინვალე, რამდენადაც მაშინ, დაცემული რომ ვიყავი.

- რას გულისხმობთ?

- სანამ დაიწყებ ახლის შენებას, უნდა დაანგრიო ძველი! საჭიროა, რომ შენ დაწვა საკუთარი თავი საკუთარ ალშივე: „როგორ შეძლებ ადგომას, თუ ჯერ ფერფლად არ იქცევი?“ (ნიცშე)

- თქვენი რომანების მკითხველად ვის მოიაზრებთ, ვინ დაინტერესდება მათით უფრო და რატომ?

- ჩემი რომანები მსოფლიო მოსახლეობის 90 პროცენტისთვის გონივრულად მომიახლოებაა, მაგრამ აქ არაფერია უცნაური - ყოველთვის ასე იყო. დღეს „გველის პერანგს“ საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი გაიაზრებს?

- როცა „იორინოსს“ წერდით და პერიოდულად აქვეყნებდით ურუნალოში, მკითხველთა მხარდაჭერა სტიმული იყო?

- მკითხველთა მხარდაჭერა ყოველთვის დიდი სტიმულია.

- რამ გიბიძგათ „კოლხეთის ბოლო ნაშეიანი“ შესაქმენლად? მიაღწიეთ დასახულ მიზანს?

- „კოლხეთის ბოლო ნაშეიანი“ არის ჩემში დავარჯობი, დაახლოებით ოცწლიანი ნაფიქრალის ხორცშესხმა, მაგრამ „იორინოსი“ უფრო რთული რომანია. „იორინოსი“ არაა

დედამიწელი, არც „კოლხეთის ბოლო ნაშეიანი“, თუმცა „იორინოსი“ - უფრო.

- წელს რას უნდა ველოდით თქვენგან, ახლა რას წერთ?

- ახლა ვმუშაობ რომანზე „ქარვისფერი ოკანე“, რომელთან შედარებითაც „იორინოსი“ სამი წლის ბავშვია.

- როგორ წერთ, ფურცელზე თუ ნოუტბუქით?

- ფურცელზეც დამიწერია, მაგრამ ძირითადად - ნოუტბუქით.

- საბერძნეთში, არისტოტელეს უნივერსიტეტში სწავლისას ყველაზე ფასეული, რაც გაცნობიერეთ და რამაც შემდგარ პიროვნებად გაქციათ...

- საბერძნეთში გავაცნობიერე, რომ ადამიანი დაუმარცხებელია.

- დიდი ენერჯია და მუხტი, რომელიც თქვენშია, საჩინოა... თუ მის წყაროზე გკითხავთ, რას მიპასუხებთ?

- ჩემი ენერჯიის წყაროა ხილები, რომლებიც ბავშვობიდან მაწუხებდა. კი, ამ სიტყვას გამოვიყენებ. უცნობის სუნთქვა სიზმარში, გარინდება, შეხურება, ძილ-ბურანი... შიში, გადალახვა, მოძლიერება, სიცარიელე.

- „შეიანი თავი შენი“... ამ სულიერი კიბის რას საფეხურზე მოიაზრებთ საკუთარ პერსონას?



ოფობა.

- წიგნის რეკლამირების კულტურა როგორია საქართველოში და რას ურჩევთ ავტორებს?

- თუ ვინმეს სურს, რომ მისმა წიგნმა გზა იპოვოს, ან „ინტელექტმა“ უნდა დაბეჭდოს, ან „სულაკაურმა“. ეს რეალობაა დღეს საქართველოში.

- როგორი მწერალი სჭირდება დღეს საქართველოს, მთელ მსოფლიოს?

- დღეს მსოფლიოს სჭირდება მწერალი, რომელსაც ყველა ვერ უგებს და უმრავლესობა არ ეთანხმება.

ნარმატივული მაცნეირი და კელაგობი საქალაქოსი რეზო ჯაბინიძე 70 წლისაა

აგარული დარგის ახალგაზრდა თაობის მეცნიერ-მკვლევართა აღზრდელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და ამჟამად აკადემიკოს რეზო ჯაბინიძეს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.



1978 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო ჩარხა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1996 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

აკადემიკოსი რეზო ჯაბინიძე წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე. ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, საიდანაც დააწინაურეს აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო შემდეგ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

აგოგა რიგებში და კარგად გაიცნეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მეცნიერის ნაშრომ-ნაღვაწი გამოქვეყნებულია 247 სამეცნიერო ნაშრომში, 24 მონოგრაფიასა და რეკომენდაციაში, ხუთ სახელმძღვანელოში: „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“, „ჩაი და ციტრუსები“, „სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია“, „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“, „სუბტროპიკული კულტურები“. 2012-2019 წწ ბათუმის უნივერსიტეტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არჩეული იყო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ის, რომ ამ ხნის განმავლობაში 24 დოქტორანტი მიენიჭა აგარული დარგში აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რომელთა შორის, აჭარის ისტორიაში პირველად, 16 ქალბატონია.

რეზო ჯაბინიძე დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მეცნიერთა სწავლა-აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით 9 დოქტორანტი დაიცვა დისერტაცია, ხოლო 42-მა - საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი. არჩეულია სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად. რამდენჯერმე მიწვეული იყო საზღვარგარეთ საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების შემფასებლად (ოპონენტად). არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საქართველო-

ში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

აკადემიკოს რეზო ჯაბინიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდაა დაფასებული. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლებით; 2019 წელს მას საუკეთესო საგანმანათლებლო ნაშრომისათვის „სუბტროპიკული კულტურები“ გადაეცა პრემია, ხოლო 2020 წელს საპატიო სიგელი - აგარული დარგში მიღწეული წარმატებებისთვის. დაჯილდოებულია, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი და უმაღლესი საბჭოების სიგელებით. არის საპატიო ბათუმელი და ხელგაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ბატონი რეზო სამი ათეული წელი თანამშრომლობს გაზეთ „აჭარასთან“, რომელშიც აგარული საკითხებთან დაკავშირებული ასამდე წერილი აქვს გამოქვეყნებული. იგი კვლავ აგრძელებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

გულთბილად ვულოცავთ ბატონ რეზოს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს მშობლიური ქვეყნის, ქართული აგარული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

სამართლმლო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ბათუმის სახალხო აკადემიის, ბაზეთ „აჭარის“ რედაქციის

„ღორის ბრიკი“ დაბრუნდა?

მარია ხითაიშვილი 27 48 93

მალაღობი ტემპერატურა, ყელის და თავის ტკივილი, ზოგჯერ სუნთქვის გაძნელება, პნევმონია... ქვეყანაში 200-მდე სხვადასხვა ვირუსი ცირკულირებს. მათ შორის ეჩ ვირუსი და ზე ვირუსის ვირუსი, რესპირატორული ინფექციები და კორონავირუსი. მიმართვიანობა როგორც ამბულატორიებში, ისე სტაციონარებში გაზრდილია, თუმცა მედიკოსების პროგნოზით, ჯერ ბიკი წინაა



აღნიშნულთან დაკავშირებით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ მარია ბუჭაშვილს მივმართეთ.

- ქალბატონო მარია, ბევრი მითქმა-მოთქმა გარბის ვირუსის ქვეტიპების შესახებ, ბევრი შფოთავს, რომ „ღორის ბრიკი“ დაბრუნდა...

- საქმე ისაა, რომ „ღორის ბრიკი“, ანუ ეჩ ვირუსი ენ ვირუსი არც არსად წასულა. როგორც გვახსოვს, 2009-2010 წლის პანდემია ამ ვირუსით იყო გამოწვეული და პანდემიის დასრულების შემდეგ იგი სეზონური გარბის ვირუსის სახით ყოველწლიურად გვევლინება. გამონაკლისი არც წლებიდანელი სეზონია. მასთან ერთად გარბის ვირუსის სხვა ქვეტიპებიც გვხვდება. შესაბამისად, გარბის ვაქცინაში გათვალისწინებულია ვირუსის ოთხი სხვადასხვა, სეზონზე ყველაზე ხშირად ცირკულირებადი ტიპი. ამ ქვეტიპებს კლინიკური მნიშვნელობა ნაკლებად აქვს. პრაქტიკულად, ყველა ერთნაირი სიმპტომებით მიმდინარეობს. ამიტომ კლინიკურ პრაქტიკაში როდესაც ვაჭარებთ ტესტირებას, ზოგადად გარბის დიაგნოზს ვსვამთ (ეს ტესტირებას ვაგვებს ა და ზე ტიპის ვირუსებს). ტესტირების შედეგად გარბის დიაგნოზის დასმა მნიშვნელოვანია იმით, რომ განვსაზღვროთ ბაქტერიული ინფექციისგან (მაგალითად, ბაქტერიული ანგინისგან) და არასაჭირო არ დაინიშნოს ანტიბიოტიკები. გარბი ყოველთვის იყო და ახლაც რჩება სერიოზულ დაავადებად - იწვევს ძალიან შემაწუხებელ სიმპტომებს და აქვს გართულბების რისკი (ფილტვების ანთება, ბრონქიტი და სხვა). ყოველ წელს აღამიანები აღნიშნავენ, რომ წელს რაღაც განსაკუთრებული, საშინელი ვირუსი შეხვდათ, თუმცა რეალურად გარბი ყოველთვის იყო და, სამწუხაროდ, დარჩება ინფექციად, რომელიც დიდ პრობლემებს უქმნის აღამიანების ჯანმრთელობას, იწვევს ძლიერ საერთო სისუსტეს (ზოგჯერ გაზანაღობილებულს), თავის, კუნთების და სახსრების ტკივილს. სურდო და ხველა შეიძლება იყოს ან არ იყოს გამოხატ-

ული. ხველა ზოგჯერ ძალიან ხანგრძლივდება და ეს აღამიანებს აწინებს. თუ სველი, ანუ ნახველით გამოხატული ხველაა, მნიშვნელოვანია გამოირიცხოს ქვედა სასუნთქი გზების დაავადება (ზოგჯერ საჭირო ხდება რენტგენოგრაფია), რომ შეფასდეს ანტიბიოტიკის საჭიროება. მოკლედ, წელს ისეთივე გარბის სეზონია, როგორც ყოველთვის იყო. უბრალოდ, გარბის აღამიანები ხშირად სერიოზულ დაავადებად არ აღიქვამენ - „უბრალო გარბია“, - ამბობენ, მაგრამ სინამდვილეში არც ისე უბრალოა და მასთან სიფრთხილე გვმართებს. პირველ რიგში, ეს არის ვაქცინაცია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ორსულებისთვის ვაქცინა სახიფათო არ არის, პირიქით, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია (სამწუხაროდ, დღემდე რჩება არასწორი რჩევები, რომ ორსულები უნდა მოერიდონ გარბზე ვაქცინაციას). მალაღობი რისკის ჯგუფებში, ხანდაზმულები და ორსულები ამ სეზონზე მაქსიმალურად უნდა ერთდებოდნენ თავშეკრების ადგილებს, ან გამოიყენონ პირბადე, რომელიც მხოლოდ კორონავირუსისგან დასაცავი საშუალება არ არის, გარბისგან თავის დასაცავადაც ეფექტურია.

განხილვა

ციური ბაბილოკი

40 დღეზე მეტია, რაც იმიერ საქართველოში გადავიდა ციური ბაბილოკი. იგი ჩემი თანაკურსელი იყო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტობის (1956-1960 წწ) შემდეგ ბათუმში ცხოვრობდა და მუშაობდა. მშობლები - სა და მუხომლის გარდაცვალების შემდეგ, ცალკედად დარჩენილი, თბილისში ქალიშვილებთან გადავიდა საცხოვრებლად.

ციური ძალიან უბრალო, თავაჭირი, თავაზიანი, მეგობრული გოგონა იყო. არასოდეს დასტყობია ლექტორის შვილობა, სანიმუშო სტუდენტი გახლდათ. ყველა თანაკურსელი პატივს სცემდა. მის ნიშნებში მხოლოდ ოთხიანი და ხუთიანი ფიგურირებდა. ციური ძალიან აქტიური, კომუნიკაბელური გოგონა იყო, არ ტოვებდა არცერთ სტუდენტურ აქტივობას - ექსკურსიებს, სემინარებს. თანაკურსელთაგან ოჯახიც პირველმა შექმნა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც საგანგებოდ გაგვავრთხილა ყველა, რომ არ დაგვევიწყებინა. მართლაც, ხშირად ტელეფონით ვუკავშირდებოდით, მუდმივ კონტაქტზე ვიყავით. ბოლო წლებში ჯანმრთელობა მკვეთრად გაუუარესდა, საუბარი უჭირდა, თუმცა კვლავ გვთხოვდა, არ დამევიწყეთო. ძალიან უყვარდა ბათუმი. სიკვდილის წინ დაიბარა, რომ სწორედ ამ ქალაქში, მშობლებისა და მეუღლის გვერდით დაეკრძალაო. რასაკვირველია, აუსრულეს ეს სურვილი. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრიდან გაასვენეს.

ციური ბაბილოკი პედინსტიტუტის ლექტორის გრიგოლ ბაბილოკის შვილი გახლდათ, რომელიც პედინსტიტიას გვიკითხავდა. ეს კარგად ვიცოდით პირველკურსელებმა, თუმცა ლექტორს პირადად არ ვიცნობდით, რადგან მისი საგანი მეორე კურსიდან ისწავლებოდა. კარგად მახსოვს პირველი ლექცია, როცა ბატონი გრიგოლი შემობრძანდა აუდიტორიაში - ჯერ წარმატებები გვისურვა, გავცენო, შემდეგ კი ასე მოგვმართა: „თქვენ თანაკურსელი - ციური, ჩემი შვილია. მინდა ვითხარებ, რაც ციურისავე ვუთხარებ და გავაფრთხილებ, რომ ჩემთვის ყველა ერთნაირი იქნებოდა, ჩემს შვილს არ გამოვარჩევ. ოჯახში რომ მესტუმრებოდა, როგორც მისი მამა - ისე გავხვდებოდა, აქ კი ლექტორი ვიქნები და ეს დაიმახსოვრეთ. ცოდნას ყველას ერთნაირად მოვთხოვ, თუმცა ციურის - ცოტა მეტ-ტოტის ეს განცხადება. მართლაც, არათუ პრივილეგიებს ანიჭებდა, ხშირად აკრიტიკებდა კიდევ შვილს.

მშვიდად იძინე, თანაკურსელო დაიკო, მსუბუქი იყოს შენთვის ბათუმის მიწა!

თანაკურსელთა სახელით, სმრბო დუმბაძე, აჭარის დეწლომისო მუშაკთა პატივმეგობისა და მადლიერების საზოგადოების თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი

ბაზეთი «აჭარა» ბთავაზოგთ ნეზისმეირი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამუშავების მსურველებმა მიმართეთ ბაზეთი «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

განხილვა

ურახუნი იქიღება 800 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაბვიკავშირდით მოგბილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარინა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>გამომცემელი - შპს</p> <p>«ბაზეთი აჭარა და აღსაქარია»</p> <p>კოლმეგობრივი მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაღდათის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ანწყო და დაბავრონდა ბაზეთი აჭარის ქოგ. ცენტრი</p> <p>დასაბავროდ ხელმონებილი 11/01/24, 19 10 სთ.</p>	<p>დირექტორი</p> <p>გამუკა ბერიკე</p>
---	---	--	---	--	---

სახალწლო სარეჟისარი - ერთგულ მაყურებელს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი გასტროლების სერიას აგრძელებს. ამჯერად, დასი რეჟისორ ავთანდილ ღიასამიძის სპექტაკლით „გრიჩი“ ხულოს იუსუფ ზოიძის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს ესტუმრა და იქაურ მაყურებელს სახალწლო სარეჟისარი გაუკეთა

- ძალიან მომეწონა სპექტაკლი. მომეწონა ის, რომ გრიჩი გაკეთილშობილდა და აღარ მოიპარა შობის დღესასწაული. სპექტაკლი გვასწავლის, რომ სიყვარულს ძალიან დიდი ძალა აქვს და თუ უფრო მეტად გვეყვარება ერთმანეთი ადამიანებს, მეტად ბედნიერები ვიქნებით. გვასწავლის იმასაც, რომ მივიღოთ განსხვავებული ადამიანები, ვაგრძობინოთ, რომ მართო არ არიან ამ სამყაროში, ისე, როგორც ეს გრიჩს პატარა გოგონა სინდამ აგრძობინა და მასში დიდი გარდატეხა მოახდინა. მაღლობა თოჯინების თეატრს ჩვენი გახარებისთვის, - აღნიშნა მაყურებელმა ლანა ბოლქვაძემ.

სპექტაკლზე დამსწრეთა მაღლობა გადაუხადა თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობმა ალექსანდრე გაბაიძემ.

- მოზარული ვარ, რომ ვიმყოფებოდით ამ არაჩვეულებრივ რაიონში, ხულოში, გვყავდა არაჩვეულებრივი მაყურებელი, ძირითადად, ბატარები. მათ მხურვალე ოვაციებით გვაგრძობინეს, რომ სპექტაკლი ძალიან მოეწონათ. მინდა გულწრფელი დახვედრისთვის, სიტბოსა და სიყვარულის გამოხატვისთვის მაღლობა გადავუხადო თითოეულ მაყურებელს, ასევე, ხულოს დრამატულ თეატრს და მის სამხატვრო ხელმძღვანელ თამაზ ბოლქვაძეს, - აღნიშნა მსახიობმა.



მაღლობა გადაიხადა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორმა იმედა თავდგირიძემ და დასძინა, რომ ბათუმისა და ხულოს თეატრებს შორის მომავალშიც გაგრძელდება პროდუქტიული თანამშრომლობა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი ქართული თეატრის დღეს დედაქალაქში ორი სპექტაკლით წარსდგება. 14 იანვარს, 12:00 საათზე ნოდარ დუმბაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ნაჩვენებია იქნება სახალწლო სპექტაკლი „გრიჩი“, ხოლო 15 იანვარს თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი რეჟისორ ელენე მაცხოვრავილის სპექტაკლს „წერილი ჭერალდინას“ უმსახიობებს.

14 იანვარს საქართველოს მწერალთა სახლში თეატრალური საზოგადოება საზეიმოდ დააჯილდოვებს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასის გამგე ნანა ლავილავას, რეჟისორ ნინო ორაგველიძეს და მსახიობ კობა ფაცურას, რომლებსაც „აბაგარის“ წოდება მიენიჭებათ.



რატომ დაიხურა მთავარი თეატრალური პრემია "დურუჯი"?

წლებია, თეატრალური პრემია „დურუჯი“ ერთერთ მთავარ მოვლენად იქცა ქართული ხელოვნების ამ სფეროში. ყოველ წელიწადს ცნობილი ხდება თეატრალური სამყაროსთვის ღირსშესანიშნავი სიახლეების შემოქმედთა ვინაობა, ანუ ნომინაციებში გამარჯვებულები...

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი, რომელმაც ემოციური პოსტი გამოაქვეყნა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე: „განსოვთ თეატრალური პრემია „დურუჯი“?!

ჯერ იყო და, ამ პრემიას ერთმა ნაწილმა თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადა (რაც გასაგებია), ნაწილმა კი მას შემდეგ, რაც ვერ მოხდა ნომინატებში.

მერე სულ იმას გაიძახოდნენ, პრიზს ყოველწლიურად ერთი და იგივე ხალხი იღებსო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს სრულად იცვლებოდა ყურის წევრთა შემადგენლობა.



ბზე. ნომინატები გამარჯვებას ერთმანეთს არ ულოცავდნენ (უიშვითესი გამონაკლისის გარდა)...

აპროტესტებდნენ ნომინაციებს, ყურის შემადგენლობას (ყველასთვის მოსაწონი არცერთ წელს ყოფილა), კრიტიკოსები ერთმანეთზე იბოღმებოდნენ, მე რატომ არ ვარ ყურისშიო, რეჟისორები და მსახიობები ერთმანეთს ხოცავდნენ - შენი გამარჯვება ჩემი დამსახურებააო და ა. შ.

მაკრიტიკებლები იშვიათად იძლეოდნენ რეკომენდაციებს, უფრო გულს იფხანდნენ, არადა, ვინც მართლა რეკომენდაციას იძლეოდა, „დურუჯი“ მას 90% იზიარებდა.

უყურა ამ ყველაფერს დამფუძნებელმა, რომელმაც საკუთარი ფული ხარჯა, ათ წელზე მეტი, თეატრის მოღვაწეების წასახალისებლად, სათეატრო პროცესის გასაუმჯობესებლად, შემდეგ ადგა და დახურა.

ჰოდა, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგადაც მოიქცა.

მიძახეთ ახლა ქართული თეატრის მტერი“.

ერთმანეთთან დაპირისპირებული-განაწევრებული თეატრალური ალბათ „სულს მოითქვამენ“ „დურუჯის“ გაუქმების შემდეგ, მაგრამ ისედაც კრიზისში მყოფი ქართული თეატრი რომ ამით ვერაფერს მოიგებს, ცხადია.

რასაც ელი, იზიჰე ბელის, ანუ როგორ ავისრულოთ ოცნებები?!

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ახალი წელი სასიამოვნო მილოცვებთან და პოზიტიურ სურვილებთანა დაკავშირებული. გამუდმებით ვცდილობთ, ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს სასიამოვნო სიტყვებით შევუქმნათ დადებითი განწყობა და მივცეთ მოტივაცია. მილოცვის ტექსტში ვგვლაზე ხშირად ოცნებების და მიზნების მიღწევას უსურვებენ

რა არის საჭირო, რა უნდა გავაკეთოთ, რომ წელი მართლაც ნაყოფიერი და წარმატებული იყოს? - ამ კითხვაზე აჭარის ხელოვნების მუზეუმის მმართველმა **თინათინ ღოღობერიძე** გვიპასუხა:

- თავიდანვე უნდა გაიაზრო და მიხედვ, რომ სინამდვილეში არ არსებობს წარუმატებლობა. არსებობს გამოცდილება, რომელიც დროსთან ერთად მოდის. რაც არ უნდა დიდი დაბრკოლება შეგხვდეს მიზნისკენ მიმავალ გზაზე, უნდა გახსოვდეს, რომ ეს არაა მიზეზი, უარი თქვა შენს ოცნებებზე. ეს შესაძლებლობაა, შესაწორო ამ გადაწყვეტილების შესრულების ფორმა და სხვა თვლით შეხედო სიტუაციას!

შეწყვიტე შენს თავზე ცუდად ფიქრი! შენ უნიკალური ხარ. საკუთარ თავში დაეჭვებით და უნდობლობით იმ ძალას თრგუნავ, რომელსაც შეუძლია მთები გადაგადგმეინოს.

კარგად უნდა გაცნობიერო, სად ხარ და რას აკეთებ, გაახლოებს თუ არა ეს ყველაფერი შენს მთავარ მიზანთან, ოცნებასთან? ეს ერთი შეხედვით მარტივი კითხვები დაგეხმარება, ახალი ენერჯით აივსო და წინ წახვედი უფრო სწრაფად, უფრო დიდი ნაბიჯებით. ბედნიერი უნდა იყო პროცესით. თუ ნებისმიერი ნივთი დიდხანს გიჭირავს, ხელი შეიძლება დაგეალოს. ამიტომ, ცოტა ხნით ხელი უნდა გაუშვა, გვერდით გადადო და იმ წამსვე იგრძობ სიმსუბუქეს. ასე ხდება ცხოვრებისეულ პრობლემასთან მიმართებაშიც. გააჩერე პრობლემა თავში რამდენიმე წუთით, ეს ნორმალურია. მასზე საათობით თუ იფიქრებ, შეიგრძობ ტკივილს და თუკი დღედაღამ იფიქრებ შეუჩერებელი, ის შენს პარალიზებას მოახდენს, სხვა საქმეს ვერ გააკეთებ. იმისთვის, რომ გათავისუფლდე ტკივილისგან, უნდა გაათავისუფლო თავი პრობლემისგან. ბედნიერება შეგიძლია იპოვო იქ, სადაც ხარ. იგი ყველგანაა. ბედნიერებაა: არ დაიშურით და არ დაგეზაროთ მაღლობის გადახდა, სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა, ზრუნვა, ყურადღება... სამყარო ბუმბერაზია, ყველაფერი გაორმაგებულია დაგებრუნდებათ! ყველა იმ საჩუქარს შორის, რომელსაც ცხოვრება გთავაზობს, აწმყო ყველაზე დიდი საჩუქარია, რომელიც მხოლოდ ბედნიერებაში უნდა დავხარჯოთ.



დამფუძნებელ ლაშა პაპაშვილისთვის (კომპანია „რეტეიქსი“) ამ რეალობის მიღება სულ უფრო ძნელად შესაგუებელ-აღსაქმელი ხდებოდა, ჰოდა... 2020 წლიდან „დურუჯის“ დაჯილდოება აღარ ჩატარებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამფუძნებელმა გააუქმა ეს პრემია.

შემდეგ ფურუტზე ქორწილებდნენ, მერე ვაწყობდნენ სუფრაზე, ხანაც სივრცეზე, სადაც დაჯილდოების ცერემონია იმართებოდა...

დღეიწინებდნენ ერთმანეთზე, გამარჯვებულებზე, ერთმანეთის ჩაცმულობაზე, ყიურისზე, დაჯილდოების ცერემონიალის რეჟისორე